ხვალ ქართველი ამომრჩევლის დიდი გამოცდის დღეა!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭდის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 20 ოქტომბერი. 2017 წ. №216 (8353), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ხვალ საქართველოში კეთილმა უნდა სძლიოს ბოროტს!

ცრუ წინასაარჩევნო დაპირებებმა არ გაცდუნოს! შენი უკეთესი მომავალი შენსავე ხელშია!

ოცნების ასახდენად

კიდევ ერთი მტკიცე ნაბიჯის გადადგმაა საჭირო!

SELF-MADE MAN

სამტრედიელმა ბიჭმა ბებერი ტფილისის გაახალგაზრდავება გადაწყვიტა ③

პრეზიდენტმა საკონსტიტუციო ცვლილებებს ხელი მოაწერა

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საკონსტიტუციო ცვლილებებს ხელი მოაწერა და განაცხადა, რომ პირველივე დღიდან ნათელი იყო, მმართველი გუნდი ერთპარტიული კონსტიტუციის მიღებისთვის ემზადებოდა.

„მე და ჩემი გუნდი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ ერთ ჭეშმარიტებას ვაფიქსირებდით, რომ კონსტიტუცია ყველასია. „ქართული ოცნება“ იმ ტრადიციას ვერ გასცდა, რომელიც ერთპარტიულ კონსტიტუციას იღებდა ხოლმე საქართველოში. სწორედ ამიტომ, ჩემთვის უაღრესად ძნელია კონსტიტუციაზე ხელის მოწერა, მაგრამ როგორც კონსტიტუციის გარანტი, ამ დოკუმენტს ხელს ვაწერ“, — განმარტა პრეზიდენტმა.

თავლაფ-დასხმულ მარტვილელთა გოდება ④

საქართველოს მთავრობის ტურისტული სტრატეგია ეფექტურია ⑧

დედამიწა — სახლი ჩვენი

რამ „შეშალა“ კლიმატი? ⑨



⑥ ფილიპპო ქორრიჯი: ქართული მუსიკალური საუნჯის გადამრჩენელი

კიდევ ბევრი სამუშაოა, რათა ქვეყანაში ეკონომიკური ცხოვრების დონე გაიზარდოს!

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, კიდევ ბევრი სამუშაოა, რათა ქვეყანაში ეკონომიკური ცხოვრების დონე გაიზარდოს.

მისივე განმარტებით, მიუხედავად ბევრი გამოწვევისა, ტენდენცია, რომელიც აღებული აქვს საქართველოს, არის ჯანსაღი და დადებითი.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია მათი შეფასებები და შეფასებები იყო ძალიან პოზიტიური, ის რომ ეკონომიკური ზრდის ტემპი არის ჯანსაღი, კორუფციის ინდექსი არის დაბალი და საქართველომ დიდი პროგრესი განიცადა ქვეყნის მართვისა და ეკონომიკური განვითარების კუთხით. ეს არის კონკრეტულად კონგრესმენ დეივ პრაისის სიტყვები და მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ასეთი შეფასებები კეთდება. მინდა, დელეგაციას მადლობა გადავუხადო.

მიუხედავად ბევრი გამოწვევისა, ტენდენცია, რომელიც აღებული აქვს ჩვენს ქვეყანას, არის ჯანსაღი, დადებითი და ამ ტენდენციით ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ იმას, რომ ქვეყანაში თვისობრივად შეიცვალოს ცხოვრების დონე. დარწმუნებული ვარ, ეს საფუძველი, რომელიც ჩაყრილია, აუცილებლად იმუშავებს ძალიან ეფექტურად ამ მიმართულებით“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ საქართველოს მხარდაჭერისთვის!

ევროპარლამენტში საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარე მიჰაელ გალერი იმედოვნებს, რომ ევროპარლამენტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები აღმოსავლეთ პარტნიორობის დეკლარაციაში აისახება. ევროპარლამენტარის განცხადებით, რომლიც მან საქართველოს ვიცე-პრემიერთან მიხეილ ჯანელიძესთან შეხვედრის შემდგომ ჟურნალისტებთან გააკეთა, ევროპარლამენტი ეყრდნობა ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლის პრინციპს, რომ ყველა ევროპულ სახელმწიფოს აქვს უფლება შეუერთდეს ევროკავშირს. **„ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ საქართველოს მისწრაფებების მხარდაჭერისა და აღიარებისთვის, რაც აისახა კიდეც ევროპარლამენტის რეკომენდაციებში, ჩვენ ასევე მივუთითებთ 49-ე მუხლზე, რომ ყველა ევროპული სახელმწიფოსთვის არსებობს პერსპექტივა გახდეს ევროკავშირის წევრი“** — განაცხადა მან.

„გაზპრომის“ ხელშეკრულებაში ყველაფერი სუფთადაა

„გაზპრომთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში ყველაფერი არის სუფთად, ოპოზიციას კი შოუს მოწყობა სურს, — აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე „ნაციონალური მოძრაობის“ ირაკლი კობახიძის თქმით, კახა კალაძემ ენერგეტიკის მინისტრობის პერიოდში ოპოზიციას დიალოგი შესთავაზა, თუმცა ოპოზიციამ უარი თქვა და აირჩია შოუ.

„ჩვენ გვქონდა კონსულტაციები კახა კალაძესთან ამ საკითხზე, როდესაც ის იყო ენერგეტიკის მინისტრი და მან გამოთქვა მზადყოფნა მოსულიყო პარლამენტში ნდობის ჯგუფის ფორმატში და მოეხსენებინა დეპუტატებისთვის ის საკითხები, რომელსაც მოიცავდა ხელშეკრულება. ამასთან დაკავშირებით შედგა კომუნიკაცია უმცირესობასთან, თუმცა მათ დიდი ენთუზიაზმი არ გამოხატეს ერთი მარტივი მიზეზის გამო — დახურული ფორმატი არ აწყობდათ, რადგან ეს ყველაფერი უნდოდათ შოუსთვის. რაც შეეხება რეალურად „გაზპრომის“ ხელშეკრულებას, ამ საკითხზე მინისტრობისას კალაძე სთავაზობდა კონსულტაციებს ოპოზიციას, თუმცა მათ სურვილი ამასთან დაკავშირებით არ გამოუთქვამთ. მათი ინტერესი არის შოუს მოწყობა. ყველაფერი არის სუფთად „გაზპრომის“ ხელშეკრულებაში და ეს თავადაც კარგად იციან ოპოზიციის წარმომადგენლებმა. კახა კალაძემ შესთავაზა დიალოგი და არა შოუ, თუმცა მათ დიალოგზე უარი თქვეს“, — განაცხადა კობახიძემ.

ინიციატივა უნდა მოდიოდეს საპარლამენტო სუბიექტისგან და არა არასამთავრობო სექტორისგან

პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ სახალხო დამცველის შერჩევის პროცესში, არასამთავრობო სექტორის ჩართულობა იქნება კონსულტაციების სახით. ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ სახალხო დამცველის კანდიდატის ინიციატივა მოქმედი კანონმდებლობით უნდა მოდიოდეს საპარლამენტო სუბიექტისგან და არა არასამთავრობო სექტორისგან. არასამთავრობო სექტორის ჩართულობა უზრუნველყოფილი იქნება კონსულტაციების სახით“.

შეგახსენებთ, რომ მესამე სექტორი პარლამენტს მიმართავს და მოითხოვს, სახალხო დამცველის შერჩევის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა უზრუნველყოს.

„ქართულ მედიაში კვლავ სიძულვილის ენით ლაპარაკობენ“

საქართველოში გაეროს ელჩი, ნილს სკოტი აცხადებს, რომ მედიაში მდგომარეობა საგრძნობლად არის გაუმჯობესებული, თუმცა მისივე თქმით, ქართულ მედიაში კვლავ აღინიშნება სიძულვილის ენის არსებობა:

„ჩვენ მოხარული ვართ, რომ ევროკავშირის ხელშეწყობით გაეროს განვითარების პროგრამას შესაძლებლობა მიეცა ჩაეტარებინა ამ არჩევნების მედიამონიტორინგიც. ეს არის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნები საქართველოში. ჩვენ ამ მონიტორინგს ვატარებთ იმიტომ, რომ თავისუფალი მედიის გარეშე არ არსებობს დემოკრატია. უკანასკნელ წლებთან შედარებით მედიაში მდგომარეობა საგრძნობლად არის გაუმჯობესებული, თუმცა ძალიან ვწუხვარ, რადგან კიდევ ერთხელ უნდა ვთქვა, რომ ქართულ მედიაში კვლავ აღინიშნება სიძულვილის ენის არსებობა, ასევე უნდა აღვნიშნო ანალიტიკის ნაკლებობა. ასევე ჩვენ ველოდებით, რომ უფრო მეტი დებატები გაიმართება კანდიდატებს შორის“, — განაცხადა ნილს სკოტმა.

გამომცემლობა „სამშობლოს შენობაში“ სასტუმროს ახალი ქართული ბრენდი „სტამბა“ განთავსდება

გამომცემლობა სამშობლოს ყოფილ შენობაში სასტუმრო InterContinental-ი აღარ გაიხსნება. როგორც Adjara Group Hospitality-ის აღმასრულებელი დირექტორი ვალერი ჩეხერია „კომერსანტთან“ ექსკლუზიურად აცხადებს, InterContinental-ის ნაცვლად შენობაში მთლიანად ახალი ბრენდის სასტუმრო — „სტამბა“ გაიხსნება.

ვალერი ჩეხერიას განცხადებით, სასტუმროს ექსპლუატაციაში შესვლა 2 ეტაპად მოხდება, კერძოდ, 2017 წლის ბოლოს გაიხსნება „სტამბის“ 45 ნომერი, უკვე 2018 წლის გაზაფხულზე კი მეორე ნაწილი, სულ სასტუმროში 160 ნომერი განთავსდება. ამ ეტაპისთვის სასტუმროს მშენებლობასა და განვითარებაში 15 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა.

„Adjara Group Hospitality აღნიშნული პროექტით ახალ ქართულ ბრენდს — სტამბას ქმნის“, — აცხადებს „კომერსანტთან“ საუბრისას ჩეხერია.

მისივე თქმით, მესამე ეტაპზე იგეგმება საკონფერენციო დარბაზის, საგამოფენო სივრცეების და სპა ცენტრის გაკეთება, რაშიც დამატებით 5 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩაიდება. მთლიანი ინვესტიციის მოცულობას კი ჩეხერია ამ ეტაპზე ვერ აკონკრეტებს.

სასტუმროს ტერიტორიაზე იგეგმება კაზინოს გახსნაც, თუმცა კონკრეტულად რომელი ბრენდი განთავსდება „სტამბაში“, ჩეხერია ამ ეტაპზე არ საუბრობს. როგორც ის კომერსანტთან საუბრისას განმარტავს, „აჭარა ჯგუფს“ სხვადასხვა კომპანიისგან აქვს შეთავაზება, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. ერთს გეტყვით — კაზინოს აღჭურვა „აჭარა ჯგუფის“ მიერ მოხდება, — განაცხადა ჩეხერიამ.

შეგახსენებთ, რომ კოსტავას 14 ნომერში, გამომცემლობა „სამშობლოს ყოფილი შენობა „აჭარა ჯგუფი“ 2011 წელს, პირდაპირი მიყიდვის წესით 9 მილიონ დოლარად შეიძინა. მოგვიანებით აღნიშნულ შენობაში 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს InterContinental-ის მშენებლობა დაიწყო. 2017 წლის დასაწყისში ვალერი ჩეხერია კომერსანტთან საუბრისას აცხადებდა, რომ სასტუმროს წლის ბოლომდე გახსნისთვის აქტიური სამუშაოები მიმდინარეობდა.

„InterContinental“-ის გახსნისთვის ამჟამად ძალიან აქტიურად ვმუშაობთ. გვსურს, რომ წელს გაიხსნას, რადგან ჩვენ ბიზნესგეგმაში ეს საკითხი ასე ზის. ჩვენთან ყველაფერი საზღვარგარეთიდან ჩამოდის და თუ რაიმეს დაგვიანებამ პრობლემა არ შეგვიქმნა, InterContinental-ი წელს გაიხსნება“, — აცხადებს ჩეხერია.

სამშობლოს შენობაში სასტუმრო აუცილებლად გაიხსნება, მაგრამ არა InterContinental-ის ბრენდით, არამედ "სტამბის".

ლიკა გურაბანიძე

ოცნება „სამშობლოზე“

ძალიან კარგი, რომ გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაში არა სასტუმრო „ინტერკონტინენტალი“, არამედ მთლიანად სასტუმროს ახალი ქართული ბრენდი „სტამბა“ გაიხსნება.

ეს სახელწოდება „სტამბა“ არცთუ მაინცდამაინც ძველი თაობის ქართველ ჟურნალისტებს (თითქმის ორი ათასზე მეტს) 2007 წლის გულისმომწყვლელ და გულშემზარავ მოგონებასთან ერთად ბევრს კეთილ ფიქრსაც აღუძრავს. გულისმომწყვლელ და გულშემზარავ მოგონებას იმიტომ, რომ ძალაუფლებისთვის გაგიჟებული, უმწიფარი სააკაშვილის რეპრესიული რეჟიმის მსხვერპლი, სხვა არაერთ რედაქციასთან ერთად, ჩვენი გაზეთის რედაქციაც გახდა. ერთ არამშვენიერ დილით პოლიციამ ძალის გამოყენებით ქუჩაში გამოგვყარა და ავი ბედის ანაბარა დაგვტოვა მეოთხე ხელისუფლება. არადა, გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობა სწორედ ჟურნალისტების მრავალწლიანი სადღეღამისო შრომითა და ოფლით იყო აშენებული. ჟურნალისტებს ასე უტიფრად და თავხედურად, ალბათ, თვით ჰიტლერი და შაჰ-აბასიც არ დაარბევდა. ქვეყნის საძარცვავად მოსულმა სააკაშვილმა კი ეგრევე ფეხებზე დაგვიკიდა. სინდისის გარდა, ყველაფერი იყიდებაო, აცხადებდნენ სააკაშვილი და ბენდუქიძე, რომელთაც უწინარესად დიახაც სინდისი გაყიდეს... და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ ქართულ პრესას.

ამ მინაწერის უპირველესი მიზანი ის არის, რომ „ქართულ ოცნებას“ ერთხელ კიდევ შევახსენოთ სამართლიანობის აღდგენის წინასაარჩევნო დაპირება და ნაციონალებისგან დარბეული ჟურნალისტებისკენ გამოხედვა.

გაისად ჩვენს გაზეთს „საქართველოს რესპუბლიკას“ დაარსებიდან 100 წელი უსრულდება. უკვე ათი წელიწადია, რაც კარდაკარ დავდივართ, ხან სად ვქირაობთ ბინას ჩვენი უმწეო სახსრებით და ხან სად.

ამიტომ იძულებული გავხდით, რომ თხოვნით მოგმართოთ, რათა აი, თუნდაც იჯარით გადმოგვცეთ ყოფილი გამომცემლობა „სამშობლოს“ ის მარცხენა ნაწილი (პირველ სართულზე), სადაც დღეს თბილისის მერობის კანდიდატის კახი კალაძის ცენტრალური საარჩევნო შტაბია განთავსებული.

ძვირფასო „ოცნებელებო“, იმედი გვაქვს, იჯარას მაინც არ გაგვიხდით საოცნებოდ და მთლიანად სასტუმრო ახალი ქართული ბრენდის სახელწოდება „სტამბას“ „საქართველოს რესპუბლიკელებისთვის“ მარტო გულისმომწყვლელ მოგონებად არ დარჩება.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

სამტრედიელმა ბიჭმა ბებერი ტფილისის გაახალგაზრდავება გადაწყვიტა

SELF-MADE MAN

ამერიკელებს აქვთ საოცრად კარგი ფრაზა „Self-made man“, რომელსაც იმ ადამიანზე ამბობენ, ვინც მდიდარი მშობლებისა და პროტექციის გარეშე, დაუღალავი შრომითა და თავდადებით შექმნა საკუთარი თავი.

საქართველოში ასეთ ადამიანებს საკუთარი ბედის მჭედელსაც უწოდებენ. თუკი ვინმეს ეს განსაზღვრება შეეფერება ჩვენში, იმათ შორის უპირობო ლიდერი კახი კალაძე გახლავთ.

ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, საკუთარი ძალისხმევით მიაღწიო იმაზე მეტს, ვიდრე ეს ერთი

რიგითი ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება, საკმაოდ რთულია.

სკეპტიკოსები იჩემებენ, რომ ცხოვრებაში მთავარი ბედი და გამართლებაა. მე კი მჯერა, რომ ბედი და იღბალი იმას ანებივრებს, ვისაც დასახული მიზნისკენ მიმავალ გზაზე დაბრკოლებები ვერ აშინებს.

იმერეთის ერთი პატარა, ლამაზი ქალაქიდან — სამტრედიიდან დაწყებული „ცხოვრების ხიდის“ შენებას გამარჯვებებთან ერთად ბევრი ტკივილიც ახლდა თან.

დიდ ფეხბურთელობაზე მეოცნებე 12 წლის ბიჭს პირველი იმედები მაშინ დაემსხვრა, როდესაც „კეთილმოსურნეებმა“ მასში განსაკუთრებული ვერაფერი დაინახეს. არადა, რა იცოდნენ იმ „მწვრთნელებმა“, რომ მომავალი ჩემპიონთა ლიგის ორგზის გამარჯვებულს ეუბნებოდნენ უარს...

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მომავალი კაპიტნისთვის ეს წინააღმდეგობა უფრო დიდი მონდომების საფუძველი გახდა. სწორედ ამის შემდეგ იწყება მისი აღმავალი კარიერული წინსვლა.

თავდაპირველად იყო თბილისის „დინამო“, შემდეგ ეროვნული ნაკრების მაისურის მორგება. კიევის „დინამო“ და წარმატების მწვერვალი — იტალიის საფეხბურთო კლუბი „მილანი“, ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი.

კახი კალაძე საქართველოს წლის საუკეთესო ფეხბურთელად 5-ჯერ დაასახელეს. მისმა მიღწევებმა ბევრ ახალგაზრდას ჩაუსახა რწმენა და იმედი, რომ პატარა ქვეყანაში შესაძლებელია საკუთარი ოცნებებისთვის ფრთების შესხმა.

თუმცა, ამ წინსვლასთან ერთად, ცხოვრებაში ყველაზე მოულოდნელი, შემზარავი ტკივილის გადატანა მოუწია ჩვენს კაპიტანს.

გახვიდე მოედანზე და ითამაშო იმ მოუშუშებელი ჭრილობით, რაც უმცროსი ძმის ლევანის დაღუპვას თან სდევს, წარმოუდგენელიც კია...

იყო ძლიერი და დაუმარცხებელი, როცა სულის ტკივილი სისხლს გიყინავს, მართლაც ერთეულებს ძალუძთ.

სიცოცხლის გაგრძელება და ნაძირალა არამზადების ჯიბრზე ფეხზე მყარად დგომა მხოლოდ რაინდებს ხელეწიფებათ. კახი კალაძე ასეთი რაინდია.

რა თქმა უნდა, კახის შეეძლო სპორტული მიღწევებით მშვიდად და უზრუნველად ეცხოვრა, თუმცა, მან ფეხბურთის პარალელურად ბიზნესშიც მოსინჯა ძალები და ამ სფეროშიც ტოლი არავის დაუდო.

...ჯერ კიდევ იტალიის საფეხბურთო კლუბ „ჯენოასთან“ ჰქონდა კონტრაქტი გაფორმებული, როდესაც გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება და იმ პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ ბრძოლა, რომლის დამარცხებაც, ხალხის უდიდესი სურვილის მიუხედავად, თითქმის წარმოუდგენელი იყო.

ქართულ პოლიტიკურ ასპარეზზე ასე ძალუმად გამოსვლა ცალკე გმირობაა ისეთი ადამიანის მხრიდან, რომელსაც ცხოვრებაც, ბიზნესიც, ოჯახიც შვეიცარიული საათივით აწყობილი აქვს და ხალხის სიყვარულითაც ერთობ განებივრებულია.

„ქართულმა ოცნებამ“, კახი კალაძემ და მისმა გუნდელებმა ყოველგვარი რევოლუციების გარეშე, მშვიდობიანი გზით შეძლეს 2012 წლის არჩევნებზე ისეთი „მონსტრის“ დამარცხება, როგორიც „ნაციონალური მოძრაობა“ იყო.

ქვეყნის ვიცე-პრემიერმა და ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ თავდაუზოგავი შრომით სულ მცირე დროში საკუთარ თანამოაზრეებთან ერთად არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელეს.

13 ივნისის თბილისის ტრაგედიის დროს იგი შიშველი ხელებით ხალხის გვერდით იდგა ვერეს ხეობაში და მუხლჩაუხრელად ეხმარებოდა დაზარალებულებს. ყოველივე ამას, თუ გულწრფელი არ ხარ, ვერა და ვერ შეძლებ. ხალხი ყველაზე კარგად ხვდება, როდისაა ადამიანის საქციელი ნაღდი ან ყალბი. ხანდახან სულ მცირე დეტალით შეიძლება პიროვნების ამოცნობა.

კახი კალაძე ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე ეწევა ქველმოქმედებას. ეხმარება ონკოლოგიური დაავადების მქონე ადამიანებს, განსაკუთრებით ბავშვებს. მის დეკლარაციაში აღირიცხება ის თანხები, რასაც კალაძეების ოჯახი ჩუმად გაკეთებულ სიკეთეში დებს.

კარიერული წინსვლის პარალელურად კახი კალაძე ახერხებს, რომ სამაგალითო შვილი, მეუღლე და მამა იყოს.

ულამაზესი მეუღლე ანუკი არეშიძე საკმაოდ წარმატებული დიზაინერია. ეს ახალგაზრდა ქალბატონი ცდილობს, რომ საქართველოს სახელი მსოფლიოს მოდის ბაზარზე დაამკვიდროს. მის ბრენდს „ANOUKI“-ის კი ეს ნამდვილად გამოსდის.

ის, რომ დღეს ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან პოლიტიკურ ფიგურას წარმატებული, თავდაჯერებული, საქმიანი ქალბატონი უდგას გვერდით, მის სიძლიერეს კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის.

კალაძეების ოჯახი, მათი სამი ვაჟკაცი (ღმერთმა კიდევ ამრავლოთ!), ერთმანეთის გვერდით დგომა, გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა მართლაც რომ სამაგალითოა სრულიად საქართველოს ახალგაზრდობისთვის.

სწორედ ასეთი ადამიანები უნდა იყვნენ პოლიტიკაში და წყვეტდნენ ჩვენი ქვეყნის, ქალაქების მომავალს, ვინც იცის გაჭირვების, შრომის, წარმატების, ფუძეძლიერი ოჯახის ფასი. ვისაც მართლა უყვარს სამშობლო, მისი დედაქალაქი, თითოეული თბილისელი.

უღალატო კაპიტნის დანაპირები ჰაერში გასროლილი სიტყვა არასდროს გახდება...

დღეს კახი კალაძე თბილისის მერობის კანდიდატია. მისი გეგმები საკმაოდ ამბიციურია. გვჯერა და გვწამს, რომ კალაძის გუნდი ნამდვილად შეძლებს ბებერი ტფილისის „სიცოცხლით სავსე ქალაქად“ გარდაქმნას.

„ვით იესომ გალილეა აირჩია, მე ტფილისი ავირჩიე ბებერი“, წერდა გალაკტიონი... სამტრედიელმა ბიჭმაც კიევს და მილანს ზურგი აქცია და ბებერი ტფილისის გაახალგაზრდავება გადაწყვიტა...

ღმერთმა ხელი მოუმართოს!

რუსუდან ქოგულია

წარსულს უნდა ჩაბარდეს ძალადობრივი არჩევნები!

„წინასაარჩევნო პროცესი იყო უპრეცედენტოდ მშვიდი, ყველა საარჩევნო სუბიექტს ჰქონდა თავისუფალი, მშვიდობიანი საარჩევნო კამპანიის ჩატარების საშუალება“, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა. როგორც პრემიერმა აღნიშნა, ეს იმას მოწმობს, რომ „ქართული ოცნების“ სახით, ქვეყანას მართავს პოლიტიკური გუნდი, რომლისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყანაში თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება.

„რამდენიმე დღეში ჩვენს ქვეყანაში ტარდება მნიშვნელოვანი, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, დარწმუნებული ვარ, რომ ეს არჩევნები იქნება მორიგი დასტური იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული დემოკრატიული რეფორმების, ცვლილებების შედეგად, ჩვეულებრივი პრაქტიკა გახდა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება. სწორედ ამიტომ მინდა, რომ არჩევნებამდე ორი დღით ადრე მივმართო, პირველ რიგში, სახელმწიფო უწყებებს, მეორე — პოლიტიკურ ძალებს და მთლიანად საზოგადოებას, რომ ჩავატაროთ ეს არჩევნები ისე, რომ ეს იყოს ნამდვილად კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოში ჭეშმარიტად ევროპული დემოკრატიის განმტკიცების გზაზე, რადგან ერთხელ და სამუდამოდ წარსულს ჩაბარდეს ძალადობრივი არჩევნები და საერთოდ დავიწყებული იქნას სიტყვა, რასაც ერქვა წარსულში გაყალბებული, ძალადობრივი არჩევნები, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და ვფიქრობ, ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით ასეთი საქართველოსა და ასეთი დემოკრატიის შექმნის გზაზე“...

იან კელი: მივესალმებით პრემიერ-მინისტრის მოწოდებას, რომ არჩევნები იყოს თავისუფალი და სამართლიანი

აშშ-ს ელჩი მიესალმება საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებას, რომ 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნები თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარდეს.

„წინასაარჩევნო გარემო არის კარგი და ჩვენ მოხარულები ვართ ამის გამო. როგორც ვიცი, აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე სახის პრობლემა არ ყოფილა. მოგეხსენებათ, ჩვენ გვაქვს ძალიან ახლო თანამშრომლობა და კავშირი არჩევნების საერთაშორისო დამკვირვებლებთან — ეუთოს-თან, NDI-თან და IRI-თან. ზოგადად, პრემიერ-მინისტრის და მთავრობის სურვილია, იყოს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები და, ალბათ, ამასთან დაკავშირებით ეჭვის საფუძველი არ არსებობს“, — განაცხადა იან კელიმ.

თავლაფდასხმულ მარტვილელთა გოდება

ადგილობრივი არჩევნების ბუმია მთელ საქართველოში, რასაც არც მარტვილელები ჩამოვრჩებით. სხვა მუნიციპალიტეტებში რა ხდება არ ვიცი, მაგრამ მარტვილს თავლაფი რომ გადასხეს არა კოკით, არამედ დიდი რეზერვუარით, ეს ფაქტია. კერძოდ, მარტვილის მერობის კანდიდატად „ქართულმა ოცნებამ“ წარადგინა ყოფილი გამგებელი ალექსანდრე გრიგალავა, მეტსახელად „შლანგი“. ეს ინდივიდი პოლიტიკურად არამყარი გახლავთ. ის იყო „მოქალაქეთა კავშირის“ წევრი და შევარდნაძისდროინდელი გამგებლის მოადგილე, პარალელურად ესწრებოდა ედპ-ს ყრილობებს და როცა მთელ საქართველოში კრიმინალური ორგანიზაცია „მხედრიონი“ იშლებოდა, გრიგალავამ სწორედ მაშინ ჩამოაყალიბა ის მარტვილში.

2012 წლის არჩევნების დროს თავის ბუნაგში იყო შეყუჟული, რაც იმით გაამართლა, რომ ზედმეტი აქტიურობის შემთხვევაში მის ფეხბურთელ შვილს საქართველოს ნაკრებში არ გამოიძახებდნენ. 2013 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, როცა „ოცნების“ ხელისუფლება ზენიტში იყო, მას მეორე ტური დასჭირდა და შეიძლება ხმამაღლა ითქვას, რომ „ოცნების“ ავტორიტეტმა გამგებლად გაიყვანა. საინტერესოა, კაცი, რომელსაც არავითარი ავტორიტეტი არა აქვს და ადგილობრივების აღიარებით მარტვილის სირცხვილია, ვის და რაში სჭირდება ასეთი პერსონებით ხელისუფლების დისკრედიტაცია?!

იოანე მინჩხის, ამბროსი ხელაიას, გიორგი ჭყონდიდელის, აკაკი გაწერელიას, გივი ელიავას და სხვა მრავალთა რაიონის გამგებელი, როგორც მინიმუმ, გამართული ქართულით მაინც ხომ უნდა მეტყველებდეს?! იქნებ ვინმემ იფიქროს, ალბათ, კარგი მენეჯერაო. ო, ამაში კი ნამდვილად არის „სიმართლის“ მარცვალი, მისი მენეჯერული „გაქანება“ მარტვილელებს ნახევარი მილიონი ლარის დაკარგვად დაუჯდათ.

გრიგალავამ 18 სოფლის რწმუნებული გაათავისუფლა უკანონოდ, რომლებიც შემდგომ სასამართლომ თანამდებობებზე აღადგინა და მარტვილის მუნიციპალიტეტს დააკისრა მათი განაცდურის – 317 800 ლარის გადახდა. თუმცა, ეს მთავარი არ გახლავთ, გამგებელმა სასამართლოს გადაწყვეტილება ხუთი თვის განმავლობაში უჯრაში ჩაკეტა, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ის „სახელმწიფოებრივად მოაზროვნე“ პერსონაა. ზემოთ აღნიშნული თანხა გადაიფარა მარტვილელთა ხარჯზე, კერძოდ: „ხიდე-ბოგირების, ინვალიდი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახების, კულტურული და სპორტული ღონისძიებების“ და ა.შ. ხარჯების შემცირების გზით. აქვე აღსანიშნავია, რომ ამის გამო გრიგალავა და მისი „გუნდი“ სინდისს არც ერთი წუთით არ შეუწუხებია და მათ არც ერთი თვე პრემია-დანამატებზე უარი არ უთქვამთ! ესეც თქვენი მენეჯერული „ნიჭით“ გამორჩეული გრიგალავა.

საზოგადოებაში ხშირად გაიგონებთ, რამ შეაყვარა მეგრელებს ასე ძალიან ნაციონალური მოძრაობა და საკაშვილიო?! პასუხი მარტივია – გრიგალავასნაირმა პერსონებმა! მარტვილის გამგეობაში არ არის დასაქმებული არც ერთი ის ადამიანი, ვინც 2012 წელს თავისი სიცოცხლის რისკის ფასად დადგა ბიძინა ივანიშვილის გვერდით, სამაგიეროდ, თანამდებობაზე დაინიშნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ივანიშვილს და მის მომხრეებს ფეისბუქით თუ „ლექსებით“ უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდნენ. თუ ფაქტები გნებავთ, აი, ერთ-ერთი მათგანი: მურმან წოწორია მარტვილის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი, ყველა მთავრობის ლაქია, რომელიც ოდებს უძღვნიდა ძმებ გოროზიებს, ყველა ნაციონალს, ხოლო ბიძინა ივანიშვილს თავის ნაცოდვილარ ლექსში ცოცხალ-მკვდარს აგინებდა. მოვიყვანთ ერთ ციტატას, რომელიც ამ „პოეტმა“ ფეისბუქგვერდზე გამოაქვეყნა: **„ივანიშვილის გაშვებულმა გაზის სუნმა მარტვილშიც ჩამოაღწია, არ ჩაისუნთქოთ, სასიკვდილოა“...** ამას წერს ადამიანი, რომელსაც არავითარი განათლება არ აქვს, გარდა 2006 წლის 24 ოქტომბერს აღებული ყალბი დიპლომისა, არადა, „მწერალ“ ლეილა კინწურაშვილის წიგნში „წარმატების ფაქტორი“ – 174-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ბატონმა მურმან წოწორიამ დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, თბილისში სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ასპირანტურაში სასწავლებლად კი დონეცკის სახელმწიფო უნივერსიტეტი აირჩია...“ ეს ადამიანი ვერ დაასახელებს ერთ თანაკურსელსაც კი, რომელთანაც ერთად ლექციას ესწრებოდა, რომ არაფერი ვთქვათ მის „დიპლომებზე“, მაგრამ ეს არ არის მთავარი, თუ სიძე სუს-ის უფროსი გყავს, შენთვის გზა ხსნილია.

რატომ არის ეს ადამიანი ამხელა სამსახურის უფროსად გამწესებული? იმიტომ, რომ მისი ქალიშვილის ქმარი რობერტ აბრახამია, მარტვილის სუს-ის უფროსია და შესანიშნავად უწყის, თუ რა ბაგაჟისა და წარსულის მქონეა გრიგალავა. ასე რომ, ეს უკანასკნელი აბრახამიას მარიონეტია. თუ ასეთი ადამიანები იცავენ ჩვენს უსაფრთხოებას, მართლაც რომ ვაი, ჩვენს პატრონს!

ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, მურმან წოწორიამ ჟურნალისტ ლელა ფაილოძისგან, რომელიც ამავე დროს მისი თანასოფელელია, სამსახურში დანიშვნის სანაცვლოდ ქრთამის სახით 500 ლარი აიღო, რომელიც 2000 ლარამდე უნდა შევსებულიყო, მაგრამ შეატყო რა სიცრუე, ამ ქალბატონმა იაქტიურა და ეს თანხა უკან, რის ვაი-ვაგლახით დაიბრუნა!

გელა ღურწკაია,
არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს უძრავი ქონების დაცვის კომიტეტის“ იურიდიული სამსახურის უფროსი.

P. S. ჩვენ, მთელი გონიერი საქართველო, ბატონ ბიძინა ივანიშვილს გვერდით მაშინ დავუდექით, როდესაც მისი და მისი ოჯახის არა მარტო ფინანსები, სიცოცხლეც კი ბეწვზე ეკიდა, ხოლო ეს მედროვეები მაშინ მიუცუცქდნენ, როდესაც კარიერული წინსვლისთვის სჭირდებოდათ ივანიშვილი.

ისინი ჩრდილოეთ კორეის ლიდერს კიმ ჩენ ინსაც კი შეუძვრებიან, ოღონდ თვითონ იყვნენ კარგად!

დაბოლოს, მე პროკურატურაში ალექსანდრე გრიგალავას წინააღმდეგ საჩივარი შევიტანე, იმ თანხას, რომელიც მარტვილელებს ამოაცალა, მას საკუთარი ჯიბიდან გადავახდევინებ, მით უმეტეს, რომ ამ საქმეს 15-წლიანი ხანდაზმულობის ვადა აქვს.

ვნახოთ, სანამდე გადაეფარება ვიღაცის უჩინარი და ძლიერი ხელი ამ „გამგებელს“. ხელისუფლებას კი გულწრფელად ვთხოვ, გაფრთხილდით, ბატონებო! თქვენ მიერ გაკეთებულ უამრავ კარგ საქმეს ასეთი „კანდიდატებით“ ნუ დაჩრდილავთ!..

გ. ღ.

„ჯორჯიან მანგანეზი“ ჭიათურაში მანგანუმის მადნის ახალი გამამდიდრებელი ქარხნის მშენებლობას იწყებს

სიმბოლური კაფსულა საძირკველში გუშინ პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა და შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ სპეციალურმა მმართველმა ნიკოლოზ ჩიქოვანმა ჩააგდეს. ცერემონიას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე მაია ზავრაშვილი, „ჯორჯიან მანგანეზის“ დამფუძნებლები, „ჯორჯიან ემერიქან ელოიზის“ ხელმძღვანელი პირები, გერმანული კომპანია „ოლ მინერალის“, ასევე საკანონმდებლო ორგანოს, ადგილობრივი ხელისუფლებისა და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ქარხანა თანამედროვე, უახლესი ტექნოლოგიებით იქნება აღჭურვილი. ამისათვის „ჯორჯიან მანგანეზმა“ ქარხნისთვის ახალი დანადგარები გერმანული კომპანია „ოლ მინერალისგან“ შეიძინა. მხოლოდ ქარხნისთვის გამოყოფილი ინვესტიციის მოცულობა 20 მილიონი დოლარია. საწარმო 3, 4 ჰექტარზე გაშენდება. ქარხანაში „ჯორჯიან მანგანეზის“ 250-მდე თანამშრომელი დასაქმდება. ჭიათურაში მადნის ახალი გამამდიდრებელი ქარხნის მშენებლობა ეკოლოგიურ პრობლემებს გადაჭრის და მდინარე ყვირილას დაბინძურებისგან დაიცავს. დღეს არსებული პრაქტიკის მიხედვით, მადნის გამდიდრების შედეგად წარმოქმნილი დაბინძურებული წყალი შლამთან ერთად პირდაპირ ჩაედინება მდინარე ყვირილაში, რაც იწვევს მის დაბინძურებას.

საქართველოს ხელისუფლებამ ყველაზე მეტი გააკეთა ფაროსანასთან ბრძოლის თვალსაზრისით

ფაროსანა არის პრობლემა, რომელიც გლობალურ პრობლემად ყალიბდება და ჩვენ გვაქვს მუდმივი კომუნიკაცია კოლეგებთან ყველა ქვეყანაში, – განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

„საქართველოს ხელისუფლებამ ყველაზე მეტი გააკეთა, თუ რომელიმე ხელისუფლებას სადმე გაუკეთებია ამ მავნებელთან ბრძოლის თვალსაზრისით. ფაროსანას ამერიკა 15 წელზე მეტია, ებრძვის. ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთწლიანი გამოცდილება და ამ ერთმა წელმა მოგვცა მდიდარი ბაზა იმისა, რომ მომავალ წლებში უფრო ეფექტურად ვებრძოლოთ მავნებელს. ეს არის ძალიან დიდი მასშტაბის გამოწვევა და პრობლემა“, – განაცხადა მინისტრმა.

სიცრუეა, რომ მანდარინის მოსავალი სრულად განადგურდა!

სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებით, გავრცელებული ინფორმაცია, რომ მანდარინის მოსავალი სრულად განადგურდა, არის სიცრუე.

„საქართველოს დანარჩენ ნაწილში არის მცირე დაზიანებები, თუმცა ყველაფერი ფაროსანას არ უკავშირდება და დაზიანებების 100%-იანი აცილება შეიძლება, თუ მოსახლეობა გამოიყენებს იმ საწამლ საშუალებებს, რომლებიც ჩვენ მათ სექტემბერში გადავეცით. მათ ჰქონდათ წამლობისთვის საჭირო წამლები, ყველაზე ეფექტური, რაც კი იდენტიფიცირებულია. თუ ადამიანები დავირაზმებით, მანდარინის მოსავალს სრულად გადავარჩენთ და კარგი სეზონიც გვექნება...

დამოუკიდებლობის შემდეგ ამდენი ღვინო არ გაგვიყიდია!

დამოუკიდებლობის შემდეგ ჩვენ ამდენი ღვინო არ გაგვიყიდია არც თანხაში, არც რაოდენობაში, ჩვენი მოლოდინით, საქართველოდან ღვინის ექსპორტი 70 მილიონ ბოთლს გადააჭარბებს, – ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა „რთველი 2017“-ის შეფასებისას განაცხადა.

„თვისობრივად განახლებულია ქართული ღვინის დარგი. ასეთი სიძლიერე და ასეთი მდგრადობა ამ დარგს არ ჰქონია გასული საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ. ჩვენ უკვე საერთაშორისო დონეზე აღიარებულები ვართ, რასაც ადასტურებს ბევრი საერთაშორისო პლატფორმა, სადაც ქართული ღვინო წარმატებით წარმოჩინდა. ის გამოფენა, რომელიც ბორდოში იყო, სიმბოლური დადასტურებაა იმისა, რომ საქართველო გამორჩეული ღვინის კულტურის ქვეყანაა. აშშ ჩვენი ახალი ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ვფიქრობ, რომ ეს არის აბსოლუტურად მისასალმებელი, სასიხარულო ფაქტი, რომ მთავრობის თანმიმდევრულმა პოლიტიკამ, რომელიც კერძო სექტორთან იყო შეჯერებული, ხელი-ხელჩაჭიდებულებმა მივაღწიეთ იმას, რომ ქართული ღვინის სექტორი აგროსასურსათო მიმართულებაში განსაკუთრებით გამორჩეული და წარმატებულია. წელს საექსპორტო მონაცემები რეკორდული გვექნება. დამოუკიდებლობის შემდეგ ჩვენ ამდენი ღვინო არ გაგვიყიდია არც თანხაში, არც რაოდენობაში. ჩვენი მოლოდინით 70 მილიონ ბოთლს გადააჭარბებს საქართველოდან ექსპორტი“, – განაცხადა დავითაშვილმა.

პოლემიკა „უმეცარი შთამომავლების“ გამო

მიმდინარე წლის 5 ოქტომბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა შოთა ზოიძის წერილი: „არამკითხე მოამბენი, ანუ ისტორიის გამყალბებლები“, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოში“ ისტორიკოსისა და ჟურნალისტის რევაზ მსხილაძის წერილის „უმეცარი შთამომავლების“ (2017წ.№9) პასუხი გახლდათ.

საგაზეთო პუბლიკაცია სათაურიდან იწყება, მით უმეტეს, როცა ის ასეთი ხისტი და უშეღავათოა. მართალია, მე წერილის ავტორი არ ვარ, მაგრამ როგორც ამ „სცენარის“ მთავარმა მოქმედმა პირმა და „დამნაშავე-გამყალბებელმა“, გადავწყვიტე, თავად „ვიმართლო თავი“.

როცა ამ „კოლექტიურ“ ნაღვაწს გავეცანი, ბუნებრივია,ავტორის საქმიანობა-ვინაობითა და ასაკით დავინტერესდი. მითხრეს 75 წლისაა, პოეტიაო! პირველი რაც გავიფიქრე, იქნებ არც ღირს პასუხის გაცემა-მეთქი! მაგრამ წაყრუებაც არ ივარგებდა, ყველა გაზეთს, ხომ თავისი მკითხველი ჰყავს, საღი აზრი თუ არ მიაწოდე, მართალისა და მტყუანის გარჩევაში არ დაეხმარე, ეს ხომ სიცრუის, შეთხზულ-მონაგონის წაქეზება, წისქვილზე წყლის დასხმაა. თანაც მე ამ კაცზე 15 წლით უფროსი ვარ და ჩემგან ყურის აწევას ნამდვილად იმსახურებს!..

აკი ვთქვი, წერილი სათაურიდან იწყება-მეთქი, ამიტომაც „თავის მართლებასაც“ ამ ბრალდებების მოგერიებით დავიწყებ. წერილში რომელმაც პოეტის ასეთი რისხვა დაიმსახურა, მე ვამბობ: „სამწუხაროა, რომ ჩემმა ჩვეულებრივმა საენციკლოპედიო კვლევამ, რომლის მიზანი მხოლოდ სიმართლე, ისტორიული ფაქტების, მოვლენების სწორად წარმოჩენა და პატივისცემაა, ასეთი მახინჯი სახე მიიღო. კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო ოპონენტებს: ეს არ არის მხოლოდ „ქართველი გორდეზიანის“, მისი „საგმირო საქმეების“ წარმოჩენის მცდელობა, არც ჩემი ახირება, ეს საენციკლოპედიო კანონ-მოთხოვნების დაცვაა“!

ამ საკითხის შესწავლას საკმაოდ დიდი დრო დავუთმე, გამოვეცი 250-გვერდიანი წიგნი „დადგმული და დაუდგმელი ძეგლის ამბავი – იასონ გორდეზიანი“, რომლის საჯარო განხილვა ორჯერ მოეწყო – ერთხელ – ბათუმში, ხოლო შემდეგ – თბილისში. დაიბეჭდა არაერთი დადებითი რეცენზია. იგივე საკითხებზე მაქვს საუბარი ჟურნალ-გაზეთებსა და ჩემს მიერ გამოცემულ ბროშურებში: „მხოლოდ სიმართლე“, „საკაოდან-ლონდონამდე – იასონ გორდეზიანი“.როგორც საენციკლოპედიო კვლევას ეკადრება, ყველაფერ ამას, შესატყვისი არგუმენტები, ფაქტები, თარიღები, გვარები, საარქივო მასალები უდევს საფუძვლად. არც საკუთარ მოსაზრებებს ვახვევ ვინმეს თავს. პირიქით, მეცნიერებს, დარგის სპეციალისტებს დამხმარებასა ვთხოვ...ამის შემდეგ, გეკითხებით, რატომ ვარ, „არა მკითხე და ისტორიის გამყალბებელი?!“

როგორც ხედავთ, ჩემი ოპონენტები თავისას არ იშლიან და ახლა ეს „ავტორიტეტი“ გამონახეს, – „პოეტია, კარგი წერაკითხვა ეცოდინებაო“! მაგრამ ვერც ამჯერად გააკეთეს სწორი არჩევანი! ასეთ პრობლემურ საკითხზე სასაუბროდ მეცნიერი, დარგის სპეციალისტი უნდა შეერჩიათ და არა „პოეტი“! ვიღაცამ შეიძლება იკითხოს, შენ ვინღა ხარო? მე ბატონებო, ამის თაობაზე, არა ერთხელ მითქვამს და ახლაც გაგიმეორებთ: „ჩემი დამოკიდებულება სადავო საკითხისადმი საენციკლოპედიო სტატიაზე მუშაობისას მოძიებულმა მასალებმა განაპირობა და დასკვნაც ამის შესატყვისი გაკეთდა“!.. რათა ენციკლოპედიაში, ამ სამეცნიერო ლექსიკონში, ახლა მაინც არ გაგვეპაროს შეცდომა!“ თქვენ კი ამის ნაცვლად ასეთ იაფფასიან შოუებს აწყობთ! ცდილობთ, ამით გადაფაროთ თქვენი უმეცრება.

წერილის ავტორი აგრონომ-ბოტანიკოსის „შესაშურ ცოდნას“ ავლენს: „ბბბ-ის დაარსება – განაშენიანების დროს კრასნოვმა მსოფლიოში პირველმა გამოიყენა ბაღის ტერიტორიის დაყოფის ფიტოგეოგრაფიული პრინციპიდან გამომდინარე მეთოდი, რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს სხვადასხვა მცენარეული ოლქების მცენარეები ლაგდება შესაბამის ფიტოგეოგრაფიულ განყოფილებაში, ამის შესაბამისად ბაღი დაიყო 8ფიტოგეოგრაფიულ განყოფილებად“... და ა.შ. ის, რასაც წერილის ავტორი თანაგუნდელების სახელით გვთავაზობს, ყველასათვის ნაცნობია და კრასნოვის ბიოგრაფების ბეილინ-პარნესის წიგნიდან არის პირწმინდად გადმოწერილი.

მე ხომ სწორედ ამ მოგონილ, ცრუ ვერსიებზე მაქვს დაწვრილებით საუბარი, როგორც წიგნში, ასევე სხვა პუბლიკაციებში, სადაც ნათქვამია, რომ კონტინენტალური პრინციპის „იდეის“ თავწყარო, მწვანე კონცხზე, ბოტანიკოს ტატრინოვის მიერ 10 ჰექტარზე გაშენებული ბაღია, რომელიც სუბტროპიკული მხარისათვის დამახასიათებელი, ეგზოტური მცენარეების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. სწორედ ამან გადააწყვეტინა, კრასნოვზე არა ნაკლებ ცნობილ რუს მეცნიერს, პროფესორ ვოევიკოვს, აგრონომ კლინგენთან ერთად შეესწავლა მწვანე კონცხის მიკროკლიმატი. მათვე აღმოაჩინეს მსგავსება იაპონურ ჰავასთან, შექმნეს ფიტოგეოგრაფიული განლაგების სქემა, ხოლო ყველაფერ ამას სული შთაბერა და რეალობად აქცია ი. გორდეზიანმა, რაზედაც არქივში დაცული, რუსულ ენაზე გაკეთებული ეს განცხადებაც მეტყველებს : „პირადად ჩემი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით გაიჩეხა და გაიწმინდა ბაღის კუთვნილი ტერიტორია, გაშენდა კლიმატური ეპილოგების შესატყვისი მეტად ფასეული და მნიშვნელოვანი განყოფილებები... რაც ბოტანიკურ ბაღს განსაკუთრებულ მნიშვნელობას და საყოველთაო აღიარებას ანიჭებს (ი.გორდეზიანი. 1913 წ.)

ამ ფაქტს არც კრასნოვის ბიოგრაფები უარყოფენ: „კრასნოვმა 2 წლის მერე, ისევ შეისწავლა მწვანე კონცხის მიკროკლიმატიო!“ ასეც რომ იყოს, რა იცვლება ამით?!

ახლა რაც შეეხება კრასნოვს, როგორც ბაღის „დამაარსებელს“? კრასნოვი იყო ბათუმის ქალაქისთავის ივანე ანდრონიკაშვილის მიერ დანიშნული და ისიც „ნომინალური“ დირექტორი, რადგან ავადმყოფობის გამო საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა ბაღის განაშენიანებაში. რა მაძლევს ამის თქმის უფლებას? კვლავაც ჩემს ხელთ არსებული უტყუარი მტკიცებულებები, ფაქტები!

„ბათუმის ბოტანიკური ბაღი 1912 წლის ნოემბერში დაფუძნდა. 1913 წლიდან დაიწყო ბაღისთვის გამოყოფილი ტერიტორიის გაწმენდა. ამ დროს პროფესორი კრასნოვი განუკურნებელი სენითაა დაავადებული და მკურნალობის კურსს თბილისში, მიხეილის საავადმყოფოში გადის. ჯანმრთელობის გაუარესების გამო, 1914 წელს მიემგზავრება პარიზში, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, იძულებულია, დაბრუნდეს ხარკოვში, შემდეგ კი კვლავ თბილისში, მიხეილის საავადმყოფოში განაგრძოს მკურნალობა, სადაც 1914 წელს გარდაიცვალა კიდეც“. ახლა მე ვეკითხები პოეტ-ბოტანიკოსს, რა წვლილი შეიძლება შეეტანა ბაღის განაშენიანებაში კრასნოვს?!

ზოიძე განსაკუთრებით მკაცრი და უშეღავათოა, როცა ჩვენ თავნებობაზე საუბრობს: „მსხილაძე საკუთარ პუბლიკაციებსა და ოთარ გაგუას წერილებს იშველიებს, რომელმაც წამოიწყო ლაშქრობა კრასნოვის წინააღმდეგ და რამდენიმე კაცი აიყოლია, მათ შორის ისეთებიც, რომლებმაც კარგად იციან, რომ ხსენებული ბაღი კრასნოვის დაარსებულია, სხვა წყარო, რომ კრასნოვი არ არის ბაღის დამაარსებელი, მათ არ გააჩნიათ, იგი ბუნებაში არ არსებობს„!.. „ისეთებში რომლებმაც იციან“, ზოიძეს საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ რეზო ჯაბნიძის ეს გამონათქვამი აქვს მხედველობაში: „წავიკითხე ოთარ გაგუას საკაოდან-ლონდონამდე – იასონ გორდეზიანი“, ბევრი ახალი გავიგე, აღფრთოვანებული ვარ ავტორის გაწეული შრომით, სწორი არგუმენტირებული დასკვნებით“.

ზოიძესა და მის თანაგუნდელებს ვურჩევ: დაანებონ თავი ამ უსაგნო დავას და ტვინის ჭყლეტას. საკითხი შესწავლილია, გაკეთდა შესატყვისი დასკვნაც. თუ ისინი ამას არ ეთანხმებიან, უპასუხონ სამად-სამ შეკითხვას:

1. შეისწავლეს თუ არა პროფესორმა ვოევიკოვმა და კლინგენმა მწვანე კონცხის კლიმატი კრასნოვზე 2 წლით ადრე?

2. სწორია თუ არა კრასნოვის ავადმყოფობის თაობაზე ჩვენს მიერ გავრცელებული ინფორმაცია?

3. იყო თუ არა კრასნოვი ქალაქის თავის მიერ დანიშნული დირექტორი?

და კიდევ: „შემოქმედებითი ინტელიგენციის“ წარმომადგენლებს,- პოეტებს, მეცნიერებს კარნახი და შეხსენება არ უნდა გჭირდებოდეთ, ვიდრე ვინმეს თავს დაესხმით, მის ნამუშევრებს უნდა გაეცნოთ! ამაზე მსხილაძისეულ წერილშიც მაქვს ნათქვამი: „ბეილინ-პარნესის მითით გაბრუებულებმა, იქნებ გამონახოთ დრო დაჩემი წიგნი თუ არა, ერთი ბროშურა მაინც წაიკითხოთ, იქნებ ამან მაინც აგიხილოთ თვალები“.

კიდევ ერთი მტკიცებულება, რომელსაც ზოიძე კოზირად იყენებს, ის გახლავთ, რომ თურმე რ.მსხილაძე 2009 წელს გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში კრასნოველთა პოზიციას იზიარებდა. მას მერე 7 წელი გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა, რ. მსხილაძე ჟურნალისტია და არა ბაღის ისტორიის მკვლევარი. თქვენგან განსხვავებით, როგორც გონიერ, კეთილსინდისიერ პიროვნებასა და ჟურნალისტს შეეფერება, მკითხველს რეალურ სურათს აწვდის.

ჩვენი ოპონენტების განსაკუთრებული აღშფოთება, სათაურში გამოტანილმა სიტყვამ „უმეცარმა“ გამოიწვია. იმაზე კი არაფერს ამბობენ, რ.მსხილაძის იმავე წერილში, როგორი შეფასება მივეცი მიმდინარე წლის 15 ივნისს საზოგადოებრივი ტელევიზიის პირველ არხზე ბაღის თანამშრომელთა გამოსვლას: „ძალზე შეწუხებული და შოკირებული ვარ! ეს ხომ საქმიანი განსჯის, პოლემიკის ელემენტარულ წესებსაც არ პასუხობს, არც მეტი, არც ნაკლები, სილის გროვაში მოთამაშე გოგო–ბიჭების კინკლაობასა ჰგავს, ყველა თავისას რომ გაიძახის... არადა, ყოველივე ამის უკან სხვადასხვა რეგალიითა და წოდებებით „დახუნძლული“ მეცნიერები დგანან, ჩვენ არავის ვუშლით და ვუკრძალავთ საკუთარი შეხედულების, ემოციის, ყალბი პათოსის, სიცრუის და თუნდაც სიჩლუნგის დემონსტრირებას (ახლა უკვე ამ წერილის ავტორის ჩათვლით), მაგრამ არა ისტორიული ღირებულებების, ფაქტების და სიმართლის ხარჯზე!

ბარემ იმასაც ვიტყვი: ეს დაპირისპირება ჩემთვის ძალზე დამთრგუნველია... არ მინდა, ამღვრეული წყლის გუბეში „ნატვრისთვალის“ მაძიებელ კაცს დავემგვანო! მავანთან ყოველი დაპირისპირებისას საკუთარ თავს ვეკითხები: რას გადაეკიდე ამ კრასნოვს, რომელი ბოტანიკოს-აგრონომ-ლანშაფტმცოდენე და მებაღე შენა მყავხარ?! ამაზე პასუხიც ყოველთვის ერთი და იგივე მაქვს: მე კრასნოვს კი არა, იმ ადამიანებს ვებრძვი, რომლებიც შეგნებულად ავრცელებენ სიცრუეს!

ახლა, ორიოდე სიტყვა ავტორის ლირიულ წიაღსვლებზე. ის გვსაყვედურობს და ბრალს გვდებს ანტირუსულ განწყობაში. სათქმელსა და გულისნადებს ბოლომდე არ ამბობს და კრასნოვის „დაჩაგვრას“ მის წარმომავლობას უკავშირებს. ვის ჭირდება ეს იაფფასიანი დემაგოგია, ან საიდან მოიტანა თითქოს ჩვენ რუსი კრასნოვის ქართველი გორდეზიანით ჩანაცვლება გვინდა! (არა მგონია ი.გორდეზიანს ვიღაცასთან მეწილეობა სჭირდებოდეს), განა ბაღის კონტინენტალური პრინციპით გაშენების„იდეის“ ავტორად პროფესორ ვოევიკოვის, „იდეის“ თავწყაროდ ტატრინოვის წარმოჩენა ჩვენი კვლევის დამსახურება არ არის? განა ისინი რუსები არ არიან?!

ის, რომ ძირძველი თბილისელი, ახლა ბათუმელი, უსახლკარო, უპოვარ ლტოლვილად მაქცია, სატკივარი გამისამმაგა, მდიდარი ნათესავივით, ხიზანს თავზე ხელს მისვამს, მენტორული ტონით მესაუბრება, მიპატიებია, მაგრამ ამ პოეტური „კალამბურებისთვის“, მეორე ყურის აწევაც მომიწევს: „კრასნოვი რომ რუსია და გორდეზიანი მეგრული წარმოშობის ქართველი, საბუთად არ გამოდგება“ ან „ეს ისეთივე შეცდომაა, ვინმე მეგრული წარმოშობის მოღვაწემ „წყნარი დონის“ ავტორად დემნა შენგელაია რომ გამოაცხადოს.“

რა არის ეს?! ერთადერთი შეფასება, რომელიც ამას შეიძლება მისცე, „უმეცრება“ და აგრესიული პროვინციალიზმია! თუ ვინმეს ეს შეფასება ეჩოთირება, იკითხავს, ეგ როგორო? განვუმარტავ: „პროვინციალობა“ ქალაქური დაავადებაა, რომელიც ზღვარგადასული ამბიციის პირმშოა!

განსაკუთრებით შთამბეჭდავია ზოიძის მიმართვა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტისადმი: განიხილონ და წერტილი დაუსვან ამ ცრუპატრიოტულ და ცრუმეცნიერულ აღვირახსნილობას.

ჩვენ ამ თხოვნით ზოიძეზე გაცილებით უფრო ადრე არაერთხელ მივმართეთ მეცნიერებათა აკადემიის აჭარის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელობას.

წერილის დასასრულს, ერთხელ კიდევ მინდა ვკითხო ამ უმეცარ, აგრესიულ პროვინციალს: რას გვერჩის, რატომ ვართ არამკითხე მოამბენი, ისტორიის გამყალბებლები, ცრუპატრიოტები და აღვირახსნილები?!

მესამე ყური არა აქვს, რომ ავუწიო, ამიტომაც ვინ-ვინ არის, ამის შეფასება მკითხველისთვის მიმინდვია!

ოთარ გაგუა,

მუზეუმ „მზიანი ღამის“ მცველი

15.10.2017წ.

აგრესიული პროვინციალიზმი

ეს დაპირისპირება ჩემთვის ძალზე დამთრგუნველია... არ მინდა, ამღვრეული წყლის გუბეში „ნატვრისთვალის“ მაძიებელ კაცს დავემგვანო! მავანთან ყოველი დაპირისპირებისას საკუთარ თავს ვეკითხები: რას გადაეკიდე ამ კრასნოვს, რომელი ბოტანიკოს-აგრონომ-ლანშაფტმცოდენე და მებაღე შენა მყავხარ?! ამაზე პასუხიც ყოველთვის ერთი და იგივე მაქვს: მე კრასნოვს კი არა, იმ ადამიანებს ვებრძვი, რომლებიც შეგნებულად ავრცელებენ სიცრუეს!

ქართული მუსიკალური საუნჯის გადამრჩენელი


ფილიმონ ქორიძე

საუკუნეების განმავლობაში ქართველი კაცის დაუოკებელი (ფილიპპო ქორრიჯის) მზერა ევროპისაკენ იყო მიპყრობილი, რადგან იქ ხედავდა როგორც ქვეყნის ხსნას, ისე ცოდნისა და პროგრესული აზროვნების დაუფლების შესაძლებლობას. ქართველ დესპანთა და მისიონერთა დასავლეთში წარგზავნა ქვეყანაში ახალი იდეების და ტექნოლოგიების შემოტანის საშუალებას იძლეოდა. ქართველების გამორჩეული უნარ-ჩვევები და თანდაყოლილი ნიჭიერება ვიწრო, კარჩაკეტილი ცხოვრებით და საქმიანობით ვერ შემოიფარგლებოდა. მას ფართო ასპარეზი სჭირდებოდა, რაც ევროპის განვითარებულ ქვეყნებში იყო შესაძლებელი. ამ მხრივ ერთ-ერთი მთავარი და წამყვანი ადგილი ხელოვნების და კულტურის მიმართულებას უკავია. საქვეყნოდ აღიარებული იტალიური ვოკალური სკოლის გაცნობა იმთავითვე ქართველთა მიზანი და განსაკუთრებული ინტერესის სფერო იყო, რადგან სიმღერა და გალობა ჩვენი ხალხის სისხლხორცეულ, ნაწილს წარმოადგენდა. ერთ-ერთი პირველი, ვინც იტალიური ვოკალური სკოლის დაუფლება განიზრახა და შემდგომ განახორციელა, ფილიმონ ქორიძე გახლდათ.

იგი გურიის სოფელ საჯავახოს მახლობლად, გამოჩინებულის მთაგორიან უბანში მღვდელ იაკინთეს ოჯახში დაიბადა 1829 წელს. ფილიმონმა აქ შეიგრძნო მშობლიური ენისა და სიმღერის ყადრი და ლაზათი. იგი ბავშვობიდანვე დიდი გულისყურით ისმენდა იქაური გლეხების მიერ დამღერებულ მელოდიებს, კრიმანჭულსა და საგალობლებს.

1842 წელს 13 წლის ფილიმონი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში შედის. აქ მან თავისი მუსიკალური მონაცემებით ყველას ყურადღება მიიპყრო. როგორც კი თავისუფალ დროს მოიხელთებდა, ამხანაგებთან ერთად „ხელხვავს“, „მრავალჟამიერს“ და სხვა ხალხურ სიმღერებს შემოსძახებდა ხოლმე. ქუთაისის შემდეგ ქორიძე თბილისის სასულიერო სემინარიაში აგრძელებს სწავლას. არც აქ ივიწყებს მშობლიურ ჰანგებს. ამ პერიოდში მისმა დისკანტის ხმამ გამოკვეთილი ბანის ჟღერადობა შეიძინა. ფილიმონი ჩარიცხეს სემინარიის მომღერალ-მგალობელთა გუნდში. თავისი მუსიკალური მონაცემების წყალობით, იგი ეგზარქოსის მიერ ჩამოყალიბებული ანსამბლის წევრიც გახდა. მოგვიანებით კი ლოტბარის თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა.

დღე დღეს ცვლიდა, საგალობელს — საგალობელი... და ალბათ, ასე ერთფეროვნად წარიმართებოდა ფილიმონის მომავალი ცხოვრება, რომ შემთხვევით მისი სიმღერა თბილისში მყოფ იტალიელ სტუმრებს არ მოესმინათ. სიონის ეკლესიაში მოსული უცხოელები ქართველი ჭაბუკის არაჩვეულებრივმა ხმამ აღაფრთოვანა. ამ ბედნიერმა შემთხვევამ განსაზღვრა მისი მომავალი, შემდგომ მანვე აზიარა იგი საოპერო ხელოვნებას. საჭირო იყო სათანადო ფულადი სახსრები, რაც მას იტალიაში წასვლას და სიმღერის სწავლის საშუალებას მისცემდა.

ფილიმონ ქორიძე (ცენტრში) თავის გუნდთან

1868 წელს ფილიმონი ქორწინდება ვინმე ხანჯალაძის ქალზე (სახელი უცნობია). იმდენად დიდი იყო ინტერესი იტალიური სასიმღერო სკოლისადმი, რომ თითქმის ორმოც წელს მიტანებული ფილიმონი, შეძლებული მეუღლის ოჯახის დახმარებით, მილანში ჩავიდა და პროფესორ რონკონის ხელმძღვანელობით ვოკალურ სრულყოფას შეუდგა. ეს იყო სიმღერის შესასწავლად ჩვენი თანამემამულის იტალიაში წასვლის პირველი შემთხვევა.

ქორიძე სწრაფად დაეუფლა იტალიური სასიმღერო სკოლის საიდუმლოებებს და უკვე ერთი წლის მეცადინეობის შემდეგ დამოუკიდებელი კონცერტები გამართა. იგი **„ფილიპპო ქორრიჯის“** სახელით გამოდიოდა. სულ მალე ფილიმონი, ესპანელი ტენორის ლოპეცის დახმარებით 6-კაციან ჯგუფში მოხვდა და საგასტროლოდ სამხრეთ ამერიკაში, ქალაქ რიო-დეჟანეიროში აღმოჩნდა, სადაც რამდენიმე კონცერტში მიიღო მონაწილეობა. გარდა წარმატებისა, ამ მოგზაურობამ მას ეკონომიკური სარგებლობაც მოუტანა. საერთოდ, ევროპიდან ჩასულ მომღერლებს ამერიკაში ყოველთვის მაღალი ანაზღაურება ჰქონდათ. ამან უზრუნველყო, ქორიძეს კვლავ გაეგრძელებინა მეცადინეობა პროფესორ რონკონისთან. ორი წლის ნაყოფიერი მუშაობის შედეგად მან სხვადასხვა პარტიებთან ერთად იტალიურად დონ-ბაზილიოს პარტიაც მოამზადა, როსინის ოპერიდან „სევილიელი დალაქი“. ფილიმონს ეს პარტია მილანის ლა სკალაში უნდა შეესრულებინა, მაგრამ სამწუხაროდ, დებიუტი ვერ შედგა, საქართველოში მისი მეუღლის მოულოდნელად გარდაცვალების გამო. 1870 წელს იგი სამშობლოში ბრუნდება.

1872 წელს ქორიძე პეტერბურგის საიმპერატორო საოპერო თეატრში სოლისტად მიიწვიეს. აქ იგი ეცნობა და ცოლად ირთავს უკრაინული წარმომავლობის პიანისტ ქალს - ზინაიდა ვორობეცს. 1873 წელს ამ ქალთან ერთად იტალიაში ჩადის და კონცერტებს მართავს ნეაპოლში, ტურინში, ლივორნოში, ჯენოაში, პალერმოში და სხვა. იტალიაში ფილიმონს და ზინაიდას ვაჟი — მიხეილი შეეძინათ. მიუხედავად ცხოვრების ნორმალური პირობებისა და შემოქმედებითი წარმატებისა, რაღაც პერიოდში მას სამშობლოსადმი ნოსტალგია მოეძალა და 1880 წელს ცოდნითა და გამოცდილებით შეიარაღებული ფილიმონ ქორიძე, ოჯახთან ერთად, სამშობლოში ბრუნდება. ერთი წლის შემდეგ თბილისის საოპერო თეატრში მისი დებიუტი შედგა გლინკას ოპერა „ივან სუსანინში“. სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა. სულ ცოტა ხანში არწრუნის თეატრში იგი სოლო კონცერტს მართავს. ამის შესახებ გაზეთი „დროება“ წერდა: „საზოგადოდ ბასის ხმის გაგონება არ არის ძალიან ყურის დამტკბობი, მაგრამ ქორიძეს სიმღერაში ისეთი სასიამოვნო კილო აქვს, რომ სრულს აღტაცებაში მოიყვანა მაყურებელი...“ საოპერო სცენაზე მან არაერთი საინტერესო სახე შექმნა ოპერებში: „დონ კარლოსი“, „აფრიკელი ქალი“, „ბალ-მასკარადი“, „რიგოლეტო“, „აიდა“, „ნორმა“, „სევილიელი დალაქი“, „რახილი“, „რუსლან და ლუდმილა“, „გალკა“ და „ასკოლდის საფლავი“. ამ რეპერტუარით ქორიძეს თავისუფლად შეეძლო, საერთო აღიარება მოეპოვებინა ევროპასა თუ რესეთში, მაგრამ მას საქართველო აღარ მიუტოვებია, თბილისში დასახლდა და ქართულ საქმეს მოჰკიდა ხელი. 1883 წელს ფილიმონმა მომღერალთა ტრიო ჩამოაყალიბა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ნ. კონტრიძე (პირველი ხმა), მ. ბალანჩივაძე (მეორე ხმა) და თვითონ ფ. ქორიძე (ბანი). ისინი ძირითადად ეროვნულ სიმღერებს ასრულებდნენ, ასევე ფრაგმენტებს დასავლეთ ევროპული და რუსული ოპერებიდან. აკომპანიმენტს ფილიმონის მეუღლე ზინაიდა ვორობეცი უწევდა. მათ საქართველოს არა ერთ კუთხეში გამართეს კონცერტი, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელ საქართველოს მუსიკალურ ცხოვრებაში.

იტალიიდან დაბრუნების შემდეგ ქორიძე ნათლად ხედავდა, რომ იმ პერიოდში მამა-პაპათაგან ნაანდერძევ ეროვნულ საგალობელში სულ უფრო და უფრო არასასიამოვნო ცვლილებები შეიმჩნეოდა და საჭირო იყო, რაც შეიძლება მალე, ხალხში გაბნეული ამ საგანძურის ნოტებზე გადატანა. მას მყარად სჯეროდა, რომ ნამდვილი, ხელუხლებელი ქართული სიმღერა-გალობა მხოლოდ მოშორებულ სოფლებში, ძველთაძველ ქართულ ოჯახებში ინახებოდა, ამიტომ სწორედ ამ მოშორებულ სოფლებში დაიწყო მათი ნამდვილი ფესვების ძებნა. 1882 წელს ფილიმონმა მელქისედეკ ნაკაშიძესთან და ნესტორ კონტრიძესთან ერთად ძველი საეკლესიო კილოების ჩაწერა დაიწყო. მოკლე ხანში მოიარა ქვემო იმერეთი, სამეგრელო და გურია. მოგზაურობის დროს დაუახლოვდა უამრავ ადამიანს; ზოგი თბილისში ჩამოდიოდა, ზოგთან თვითონ მიდიოდა. საქმე გაფართოვდა და გაღრმავდა. ქართულ მრავალსაუკუნოვან მარგალიტებს, ჩვენს სიმღერა-გალობას მშველელად ფილიმონ ქორიძე მოევლინა. საჭირო იყო სიმღერების აღნუსხვა-ჩაწერა, მისი ნოტებზე გადატანა და შემდეგ კრებულის სახით გამოცემა. ყველაფერი ეს ფულად სახსრებთან იყო დაკავშირებული. ფილიმონი და მისი მეუღლე ამის მოგვარებას საოჯახო დანაზოგის საშუალებით გეგმავდნენ, მაგრამ, ბანკი, რომელშიც თანხა ჰქონდათ შენახული, გაკოტრდა.

ფილიმონ ქორიძემ ქართველ სამღვდელოებას მიმართა თხოვნით — ფინანსური შემწეობა აღმოეჩინათ საგალობლების ჩაწერისა და გამოცემის მამულიშვილური საქმისთვის. მიუხედავად საეგზარქოსოს უარყოფითი დამოკიდებულებისა, გაბრიელ ეპისკოპოსმა 1884 წელს მოიწვია სამღვდელოების კრება, სადაც დაარსდა ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტი. იმერეთის ეპარქიის ეკლესიებმა და შეძლებულმა გლეხებმა შეაგროვეს საგალობელთა ჩაწერისა და გამოცემისათვის საჭირო თანხა. უკვე 1887 წელს ფილიმონმა გაბრიელ ეპისკოპოსს აღთქმული 400 საგალობლისგან შემდგარი კრებული გადასცა. საგალობელთა ნოტებზე გადატანის გასაადვილებლად მას ფისჰარმონიაც შეუძინეს. ურემზე დაკეცილ ფისჰარმონიას დადგამდა, თვითონ კი გზას ფეხით მიუყვებოდა, სოფლიდან სოფელ, დარსა თუ ავდარში დადიოდა და სიმღერებს იწერდა. ვერაფერმა გატეხა ფილიმონის მტკიცე ნებისყოფა. იგი დაბეჯითებით განაგრძობდა ეროვნული ჰანგების აღდგენას. თანაც უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ამ საქმეს. უსახსრობის გამო ის და მისი მეუღლე სიმღერისა და ფორტეპიანოზე დაკვრის კერძო გაკვეთილებს ატარებდნენ. ფილიმონი ხანდახან ინსტრუმენტებსაც აწყობდა. მომქანცველმა შრომამ და გაჭირვებამ უარყოფითად იმოქმედა ზინაიდას ჯანმრთელობაზე. 1889 წელს ფილიმონის უსაყვარლესი, ერთგული და თავდადებული მეუღლე გარდაიცვალა, რაც მისთვის უდიდეს ტრაგედიას წარმოადგენდა, მძიმე სიტუაციის წინაშე თავის მცირეწლოვან ქალ-ვაჟთან ერთად იგი სრულიად მარტო აღმოჩნდა. მისი მცირეწლოვანი ქალიშვილი ვალენტინა, გარდაცვლილი მეუღლის ახლობლებმა აღსაზრდელად კიევში წაიყვანეს, ხოლო ვაჟი — მიხეილი, გიმნაზიის პანსიონში მოაწყვეს სახელმწიფოს ხარჯზე.

1890 წელს ფილიმონ ქორიძემ გაიცნო ესტატე კერესელიძე (შემდგომში წმინდა ექვთიმე აღმსარებელი), რომელსაც განსაკუთრებული ნიჭი და ლამაზი კალიგრაფია აღმოაჩნდა. ფილიმონმა მას ევროპული სანოტო დამწერლობა შეასწავლა და მთელი საგალობლების ხელნაწერების გადათეთრებას მხოლოდ მას ანდობდა.

1897 წელს ქორიძეს ოზურგეთში იწვევენ, სადაც ადგილობრივი საგალობელთა აღმადგენელი კომიტეტის თხოვნით იმერულ-გურულ კილოს საგალობლებს იწერს. მართალია, დღითი დღე მატულობდა მის მიერ ჩაწერილი საგალობელთა რაოდენობა, მაგრამ აწუხებდა, რომ ქართლ-კახური კილოს საგალობლები ჯერ-ჯერობით უყურადღებოდ რჩებოდა, თუმცა ამ საქმეს შემდგომში ბრწყინვალედ გაართვეს თავი ძმებმა კარბელაშვილებმა.

დიდმა მამულიშვილმა გადწყვიტა მის მიერ შეგროვილი და ჩაწერილი 5500-მდე სიმღერა-გალობის გამოცემა, რისთვისაც იგი იტალიელებთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. ევროპაში წასვლის წინ იგი ბახმაროში გაემგზავრა. გზაში სამწუხაროდ, ცხენის დაზიანებული უნაგირისგან დაშავდა და სისხლი მოეწამლა, რაც გახდა 1911 წლის 12 ივლისს მისი გარდაცვალების მიზეზი. იგი დიდი პატივით დაკრძალეს ოზურგეთის ეკლესიის მახლობლად.

ფილიმონ ქორიძეს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართული ეროვნული საგალობლების გაფრთხილებისა და გადარჩენისათვის საშვილიშვილო საქმეში. მის წმინდა სახელს მადლიერი ქართველი ხალხისგან დავიწყება არ უწერია.

გელა ქოქიაშვილი,
კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.

784 დღე ლიბიის ციხეში

მეზღვაურ სოსლან კაკაბაძის აფრიკული დრამა

უკვე 784 დღეა ლიბიის ციხიდან ბათუმის მკვიდრის, 55 წლის სოსლან კაკაბაძის დახსნა ვერ ხერხდება. საქართველოს მოქალაქე არაადამიანურ პირობებში იმყოფება, იგი ორი წელი და ორი თვეა სასამართლოს მოლოდინშია.

სოსლან კაკაბაძე მეზღვაურია. ბათუმში არსებული საკრუინგო კომპანია GeoBridge KA-ს მეშვეობით, 2015 წლის აგვისტოში, იგი კოკად (მზარეულად) დასაქმდა ტოგოს დროშის ქვეშ მცურავ მალტის მცირე ზომის სანავთობო ტანკერ Sovereign M-ზე.

მალტურ ტანკერს ეგვიპტელი კაპიტანი მართავდა, ეკიპაჟი კი თითო ხორვატი, მალტელი და ეგვიპტელი მეზღვაურისგან შედგებოდა. ქართველი სოსლან კაკაბაძე მათ 2015 წლის 12 აგვისტოს შეუერთდა, 24 აგვისტოს კი ლიბიის ქალაქ საბრათას პორტთან ახლოს ცარიელი ტანკერი ადგილობრივმა სანაპირო დაცვამ დააკავა.

ლიბიური მხარის მტკიცებით, Sovereign M კონტრაბანდული ნავთობის გადაზიდვას გეგმავდა. დაკავების დროს მესაზღვრეებმა ტანკერის ეკიპაჟის წევრები სასტიკად სცემეს, ხუთ დღეში კი ტრიპოლის Tajoura-ს ციხეში გადაიყვანეს, რომელიც სისასტიკით ჯერ კიდევ ლიბიის ყოფილი დიქტატორის მუამარ კადაფის მმართველობის დროიდან არის ცნობილი.

სოსლან კაკაბაძე თავდაპირველად 60 პატიმართან ერთად ღია ცის ქვეშ, რკინის გალიაში, გაუსაძლის და აუტანელ პირობებში იყო გამოკეტილი. საქართველოს მოქალაქეს დღემდე აქვს საკვების, სამედიცინო დახმარებისა და თბილი ტანსაცმლის პრობლემა. ციხეში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად შეირყა, რასაც გაურკვევლობით და უიმედობით გამოწვეული უმძიმესი ფსიქოლოგიური სტრესიც ერთვის.

ეგვიპტეში საქართველოს საელჩომ სოსლან კაკაბაძეს ადვოკატი დაუქირავა, მაგრამ ლიბიაში სასამართლო სხდომა ამ დრომდე არ გამართულა და იურისტიც უძლურია, კლიენტის უდანაშაულობა დაამტკიცოს.

დონარა გოგიტიძე, დაკავებულის მეუღლე ამბობს: **„სოსლანის დაკავებიდან მესამე წელი დაიწყო, დრო გადის და შედეგი არანაირი არაა, ვერ ვეხმარებით. გვეუბნებიან, რომ ჩვენ მეტი არაფერი შეგვიძლია, იქ საელჩო არ გვაქვს და მეტით ვერაფრით დაგეხმარებითო“.**

ტანკერ Sovereign M-ის საქმე, ლიბიის კანონმდებლობის მიხედვით, ქალაქ ზუვარას სასამართლომ უნდა განიხილოს (იმ ტერიტორიაზე, სადაც, ბრალდების მტკიცებით, „დანაშაული მოხდა“). ტრიპოლიდან ზუვარამდე 102 კილომეტრია, მაგრამ უსასტიკესი სამოქალაქო ომის გამო, ჩრდილოაფრიკის ამ სახელმწიფოში ცენტრალური ხელისუფლება იმდენად მოშლილია, პატიმრების უსაფრთხოდ გადაყვანაზე პასუხისმგებლობას ვერავინ იღებს.

რაც დრო გადის, სიტუაცია სულ უფრო კრიტიკული ხდება. მოლაპარაკებებს დიდი ხანია, გამოეთიშა მალტელი გემთმფლობელების — ჯოზეფ, სილვიო და მაიკლ მიცების ოჯახი. სოსლან კაკაბაძის ძმა, შორეული ნაოსნობის კაპიტანი ამირან კაკაბაძე შველას კიდევ ერთხელ სთხოვს საქართველოს ხელისუფლებას: **„ორი კვირის წინ ვიღაც-ვიღაცებს ვთხოვეთ, ციხიდან ტელეფონით დაარეკინეს, მისი ხმა გვინდოდა გაგვეგო და დავრწმუნებულიყავით, რომ ცოცხალია. უმორჩილესად ვთხოვთ საქართველოს მთავრობას, მხარში ამოგვიდგეს და დაგვეხმაროს!“**

სოსლან კაკაბაძის გარდა, ლიბიაში სასამართლოს კიდევ სამი ქართველი მეზღვაური ელოდება. 48-ე დღეა ტრიპოლის ციხეში სხედან ბერძნული სანავთობო ტანკერ REX-ის კაპიტანი 55 წლის გენადი კომახიძე და მეზღვაურები — რომან კაკალაძე და ნუკრი ხოხბა. ბრალდება აქაც იდენტურია: ლიბიიდან დიდი ოდენობით დიზელის კონტრაბანდა. სასამართლო სხდომა ტრიპოლიში 17 ოქტომბერს არის ჩანიშნული.

„Radio Voice of America“ (აშშ)

ქართველი მეზღვაურების ტყვეობის (დაკავების) ყველაზე ხანგრძლივი და გახმაურებული შემთხვევები:

- **სოსლან კაკაბაძე** (ტანკერი Sovereign M, ლიბია) — 784 დღე, 24/08/2015 — დღემდე;
- **სულხან ჯორბენაძე** (ტანკერი African Pride, ნიგერია) — 767 დღე, 08/10/2003 — 14.12.2005;
- **მემედ ზაქარაძე, შალვა ვერძაძე, თემურ ბედინაძე, თემურ მახარაძე, ანზორ ფართენაძე, დავით დევაძე, ზურაბ შერვაშიძე, გიორგი სირაძე, ჯაბა ქარჩავა, ნუკრი ჯიჯავაძე, ირაკლი ჯიქიძე, თემურ ვარშანიძე, ასლან დემურაძე, ჯიმშერ ასანიძე, გენადი ტიმოფეევი** (ტანკერი OLIB G, სომალი) — 489 დღე, 08/09/2010 — 09/01/2012, მეკობრეებმა გაანთავისუფლეს გამოსასყიდის 3 000 000 აშშ დოლარის გადახდის შემდეგ;
- **ივერი ყურაშვილი, გიორგი ყურაშვილი, ზურაბ გურალია, აკაკი ქაჯაია, ირაკლი დანელია** (ტვირთმზიდი Vasilios N, ლიბია) — 324 დღე, 21/04/2010 — 10/03/2011, დაკავებულებმა გაქცევა მოახერხეს;
- **არტურ არუთუნიანი, ზურაბ გიორგაძე, ნიკოლოზ პიჟოვი, ალექსანდრე ჩიჩაძე, ანატოლი არხანგოროდსკი, გულადი რუხაძე** (ტანკერი Jenlil, სომალი) — 225 დღე, 30/07/2002 — 07/02/2003, მეკობრეების ტყვეობას თავი უპრეცედენტო გაქცევით დააღწიეს.

რუსეთი განაგრძობს ჩვენი რეგიონების შთანთქმას!

მიხელ ჯანელიძე გუშინ ევროპარლამენტის საგარეო კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა.

„ევროპის ერთიანობა ჩვენი რეგიონისთვის დიდი იმედია. ვამაყობ, რომ წარმოვადგენ ქვეყანას, რომელიც ძლიერი ენთუზიაზმის მქონე სახელმწიფოა. არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვი, რომ საქართველოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია, სწორედ ევროპული მისწრაფებების შედეგია. ევროკავშირის ვალდებულება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიმართ და მისი მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მიმართ არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ყველასთვის ცნობილია, რომ გრძელდება ჩვენი რეგიონების ოკუპაცია რუსეთის მიერ და ის განაგრძობს ჩვენი რეგიონების შთანთქმას ე.წ. შეთანხმებებით,“ — განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

ძნელია იმის მტკიცება, გარდაცვლილია თუ არა იოსებ ოსორაული...

ძნელია იმის მტკიცება, გარდაცვლილია თუ არა იოსებ ოსორაული, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა განუცხადა.

„ისინი თავიდანვე იყვნენ ინფორმირებული განვითარებული პროცესების შესახებ. არსებული პოლიტიკური სიტუაციის გამო ძალიან რთულია, რომ მყარი მტკიცებულებები იყოს წარდგენილი, თუმცა ის დოკუმენტაცია, რაც ჩვენ ხელთ გვქონდა, მათ შორის ფოტოები, ოჯახისთვისაც იყო ცნობილი და გაზიარებული. ჩვენს ხელთ არსებული ყველა რესურსი გამოყენებული გვაქვს და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ დამატებითი მტკიცებულებები კიდევ იყოს მოპოვებული და ოჯახს მიეწოდოს ყველა ამომწურავი ინფორმაცია“, — განაცხადა დავით ზალკალიანმა.

რატომ ჩავიდა სამხრეთ ოსეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი იტალიაში?

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში მომუშავე საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება, სადაც აღნიშნულია თითქოს ე.წ. სამხეთ ოსეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი დიმიტრი მედოევი იტალიის პროვინცია პეზარო ურბინოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტს ალბერტო დრუგის შეხვდა.

ოფიციალური რომი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ამიტომ აღნიშნულ შეხვედრას, თუ იგი რეალურად შედგა, ვერ ექნება ოფიციალური ხასიათი. ჩვენ გაფორმებული გვაქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი იტალიის სავაჭრო პალატების გაერთიანებასთან (UnionCamere), სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ისინი საქართველოს ტერიტორიაზე (რომელიც აღიარებულია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ) თანამშრომლობენ მხოლოდ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან.

მოცემული სიტუაციიდან გამომდინარე, მომხდართან დაკავშირებით ინფორმაციას საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა იტალიის სავაჭრო პალატების გაერთიანებას (UnionCamere) მიაწოდებს და მათგან ზემოთ ხსენებული შეხვედრის შესახებ რეალურ ინფორმაციას გამოითხოვს.

გურჯან მალაყმაძე ღირსების ორდენით დაჯილდოვდება

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში თურქეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერის, მთარგმნელის, პუბლიცისტისა და პოეტის ვახტანგ მალაყმაძის დარბაზი გახსნა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული პროექტის შემადგენელი ნაწილია.

სამეცნიერო პროექტის „საქართველოსთვის დღემდე უცნობი დოკუმენტური მასალა და ისტორიები თურქეთელ ქართველთა ცხოვრებიდან“, რომელსაც საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია ახორციელებს, მიზანია 1921-1990 წლებში თურქეთის არქივებში თურქეთელ ქართველთა ისტორიის, ყოფისა და კულტურის შესახებ კვლევის ორგანიზება. ამ პერიოდის შესახებ არ მოიპოვება არავითარი სამეცნიერო მასალა თურქეთში მცხოვრები ქართველების შესახებ, საბჭოთა პერიოდში საქართველოსა და თურქეთს შორის რთული დამოკიდებულების გამო.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის გიორგი აბაშიშვილის განცხადებით, განსაკუთრებული პატივისცემა გვინდა გამოვხატოთ იმ ადამიანებისა და მათი შთამომავლების მიმართ, რომლებიც მაქსიმალურად უწყობენ ხელს ქართული იდენტობის შენარჩუნებას თურქეთში და სწორედ ამიტომ საქართველოს პრეზიდენტმა მათ შთამომავლებს პირდაპირ საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა და ვახტანგ მალაყმაძის შვილს გურჯან მალაყმაძეს ღირსების ორდენით დააჯილდოებს, რომელმაც მამის არქივი — ხელნაწერები, დოკუმენტური ფოტომასალა, წიგნები, იშვიათი ქართული გამოცემები ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცა.

თურქეთში სამეცნიერო ექსპედიციის შედეგად შედგა იქ მოღვაწე ცნობილი ქართველების არქივების დიგიტალიზაცია. აღნიშნული მასალები დაცული იქნება სწორედ ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“ და ნაბეჭდ კრებულში. თურქეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერის, მთარგმნელის, პუბლიცისტის და პოეტის ვახტანგ მალაყმაძის დარბაზის გახსნის ცერემონიას დაესწრნენ ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლები, მეცნიერები და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის წარმომადგენლები.

ამერიკის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი თანხების უდიდესი ნაწილი ნიავდებოდა და კერძო ჯიბეებში მიდიოდა

ამერიკული გამოცემა „The New Republic"-ის მიერ გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში გაანალიზებულია როგორც რუსეთის ისტორიაში მომხდარი ომები (განსაკუთრებით მის ახლო მეზობლებთან), ასევე აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში დაშვებული შეცდომები (რუსეთთან დაკავშირებით), მათი ნეგატიური შედეგები **(ავტორი — სოფი პინკჰემი).**

საინფორმაციო სააგენტო **„ნიუსპრესი"** გვთავაზობს ამონარიდს, რომელიც საქართველოს ეხება:

„პრეზიდენტობის მეორე ვადის დასრულების ბოლოს, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ნატოს გაფართოების კამპანია გააქტიურა — აღმოსავლეთისკენ, ყოფილი საბჭოთა ტერიტორიის მიმართულებით. მისი გეგმების რეალიზებას გარკვეული წინააღმდეგობა ხვდებოდა, კერძოდ, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის, თავდაცვის მინისტრის რობერ გეიტსის და გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის მხრიდან. ამასთან, რუსეთმა უფრო ადრე მიანიშნა ვაშინგტონს, რომ თუ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი საქართველოსა და უკრაინას თავის რიგებში მიღებას შესთავაზებდა, ეს იქნებოდა „წითელი ხაზის" გადაბიჯების ტოლფასი ქმედება. თუმცა მოსკოვის თვალსაზრისმა ხელი ვერ შეუშალა ნატოს განცხადებას (აშშ-ის პრეზიდენტის ინიციატივით), რომ გადაწყვეტილება „უკვე მიღებულია" და „ეს ორი ქვეყანა ალიანსის წევრები გახდებიანო". ბუქარესტის სამიტზე მიღებულმა დადგენილებამ რუსეთზე ძალიან იმოქმედა: მოსკოვი ხომ დიდი ხანია, ამჩნევდა, თუ როგორ იკვრებოდა რკალი მის ირგვლივ, რომ მის გარშემო მტრები არიან, რომ მას ხშირად თავს ესხმოდა გერმანია, საფრანგეთი, თურქეთი და შვედეთი. რაც შეეხება ამერიკას, მართალია, ის ოკეანის იქით მდებარეობდა, მაგრამ მაინც რუსეთს „აწვებოდა" და მისგან იმ ქვეყნების ჩამოშორებას ცდილობდა, რომლებსაც რუსეთთან ასწლოვანი ისტორიული, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები აკავშირებდათ.

რისთვის ჭირდებოდა ამერიკას ეს ყველაფერი? საქართველო და უკრაინა ხომ ამერიკის სტრატეგიული ინტერესების ვერანაირი წარმომადგენლები ვერ იქნებოდნენ? პოლიტიკური ისტორიის მკვლევარი ჯერარდ ტოალი ამას წინათ გამოცემულ წიგნში წერს, რომ აშშ-ის ჩართულობა საქართველოსა და უკრაინის კონფლიქტებში აიხსნება ვაშინგტონის წარმოდგენით საკუთარი მისიის თაობაზე და პირადი ურთიერთობების სპეციფიკით. ავტორი საკმაოდ კარგად განმარტავს, თუ როგორ განვითარდა საქართველოს კონფლიქტი: 1980 წლის ბოლოს საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ კარგი ურთიერთობები დაამყარა აშშ-ის სახელმწიფო მდივანთან ჯეიმს ბეიკერთან და გერმანიის კანცლერთან ჰელმუტ კოლთან. ორივენი მადლობელნი იყვნენ ედუარდ შევარდნაძისა იმისთვის, რომ იგი მათ „ცივი ომის" მშვიდობიანად დასრულებასა და გერმანიის გაერთიანებაში დაეხმარა. როცა ედუარდ შევარდნაძე 1992 წელს საქართველოს პარლამენტის სპიკერი გახდა, ხოლო 1995 წელს — ქვეყნის პრეზიდენტი, ამერიკამ და გერმანიამ ახლადშექმნილ სახელმწიფოს ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერა გაუწიეს.

ჯერარდ ტოალის აზრით, პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, ხედავდა რა რუსეთისაკენ მომზირალი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვის შესაძლებლობას, შეიმუშავა „სარეკლამო სტრატეგიის გეგმა საქართველოსთვის", რომელიც საერთაშორისო საზოგადოებაზე იყო ორიენტირებული, პირველ რიგში კი, შეერთებულ შტატებზე. როგორ უნდა მოეხდინა გავლენა ამერიკელთა გრძნობებზე, ედუარ შევარდნაძისთვის რთული არ იყო: საქართველო, პატარა და ლამაზი ბუნების მქონე ქვეყანა თავისი გემრიელი კერძებითა და უძველესი ქრისტიანული კულტურით, წარმოდგენილი იყო იმ დავითად, რომელიც რუსულ გოლიათს უპირისპირდებოდა. იმავდროულად ედუარდ შევარდნაძე დაბეჯითებით უმტკიცებდა ევროპას და ამერიკას — „საქართველო თქვენ ძალიან გჭირდებათ ცენტრალური აზიის ნავთობ-გაზის რესურსების მისაწვდომადო". ასეთმა მიდგომამ გაამართლა: 2011 წლისათვის საქართველომ მესამე ადგილი დაიკავა იმ სახელმწიფოებს შორის, რომელსაც აშშ უწევდა დახმარებას. თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ ფინანსური და ეკონომიკური დახმარების დიდი ნაწილი ნიავდებოდა და კერძო პირთა ჯიბეებში მიდიოდა.

ერაყში და ავღანეთში დაწყებულმა სამხედრო კამპანიამ ამერიკისთვის საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობა გაზარდა. აქედან გამომდინარე, თბილისს ახალი პოლიტიკური ბერკეტები გაუჩნდა. ამერიკამ საქართველოსთვის იარაღის მიწოდება დაიწყო, ამზადებდა სამხედრო მოსამსახურეებს („წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის" მიხედვით). საქართველოს იმედი გაუჩნდა, რომ სეპარატისტულ რეგიონებს დაიბრუნებდა. საბოლოოდ, საქართველო შეუერთდა ანტიერაყულ კოალიციას, თავისი ჯარისკაცები ერაყში გაგზავნა, რითაც კიდევ უფრო მეტი სიმპათია დაიმსახურა აშშ-საგან. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ თავისი სამხედრო-საგარეო პოლიტიკით ედუარდ შევარდნაძემ „შენიღბა" თავისივე უუნარობა და დასავლეთის ყურადღება მოადუნა: მან ვერ მოახერხა რეფორმების გატარება, ვერ გადააქცია საქართველო ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნად.

საქართველოს მომდევნო პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის ხელისუფლებაში მოვიდა 2003 წელს მომხდარი „ვარდების რევოლუციის" შედეგად. იგი აშშ-ის კოლუმბიისა და ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტებში სწავლობდა და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მხარდაჭერით სარგებლობდა — ნახევრადსახელმწიფოებრივი ორგანიზაციისა, რომლის ოფიციალურ მიზანს „მსოფლიოში თავისუფლების გავრცელება" წარმოადგენს. 1995 წელს რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ მოწყობილ ერთ-ერთ ღონისძიებაზე საქართველოს მომავალმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სენატორი ჯონ მაკკეინი გაიცნო, რომელზეც მან კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ამერიკელ პოლიტიკოსებს — ისეთებს, როგორიც ჯონ მაკკეინია — ძალიან მოსწონდათ „ვარდების რევოლუციის" თემა, მით უმეტეს, რომ მას ახალგაზრდა და ენერგიული პიროვნება, ინგლისურ ენაზე თავისუფლად მოლაპარაკე და ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული ხელმძღვანელობდა. ამერიკელი პოლიტიკოსები მიხეილ სააკაშვილს „თავის კაცად" თვლიდნენ — იგი ხომ საბჭოთა ბიუროკრატიის გადმონაშთებს ებრძოდა (ანუ იგივე ედუარდ შევარდნაძეს, რომელსაც ამერიკა მრავალი წლის განმავლობაში ბეჯითად მხარს უჭერდა).

სოფი პინკჰემი.
„The New Republic" (აშშ)

საქართველოს მთავრობის ტურისტული სტრატეგია ეფექტურია

„საქართველო ტურიზმის განვითარების საკითხს ძალიან სერიოზულად უდგება. აბა, შეეკითხეთ ჯასპერ ბლეიქსს, რას გიპასუხებთ. როცა ეს ჰოლანდიელი ტურისტი რამდენიმე თვის წინათ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაეშვა, იგი, მისთვის მოულოდნელად, ქვეყნის მეექვსემილიონე სტუმრად იქცა. ჯასპერს მეფური მიღება მოუწყვეს, მას თვით საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი პირადად შეხვდა და რესტორანში ივახშმა", — ნათქვამია გავლენიანი ამერიკული გამოცემის, „Forbes"-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში.

„ნიუსპრესი" გვთავაზობს მასალის ქართულენოვან რეზიუმეს:

„საქართველომ შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია ტურიზმის განვითარებაში: თუ 2011 წელს ქვეყანას, რომელიც ევროპას, რუსეთსა და ახლო აღმოსავლეთს შორის მდებარეობს, მხოლოდ 2,8 მილიონი სტუმარი ეწვია, უეცრად, სამიოდე წლის შემდეგ, საქართველომ, თითქოსდა მსოფლიოს ყველა მოგზაურის რადარზე მოხვდაო, 2015 წელს ყველაზე ტურისტული ქვეყნების სიაში 54 ადგილიდან 25-ე ადგილზე გადაინაცვლა. ეს ქვეყანა ასევე იქცა ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ადგილად ღვინის მოყვარულებისათვის", — აღნიშნულია სტატიაში.

ტურისტების „შემოსევა" ხელს უწყობს ინვესტიციების მიზიდვას და ტურიზმის დარგის განვითარებას. საქართველოს მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიო ბანკთან ტურიზმის განვითარების სტრატეგიის საკითხებში, რათა ქვეყანაში სულ უფრო მეტი „ფულიანი და მდიდარი" ტურისტი შევიდეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.

საქართველო ყოველთვის იყო სტუმართმოყვარეობის სანიმუშო ქვეყანა. ქართველები თბილ ურთიერთობას ავლენენ უცხოელებისადმი, რითაც ადასტურებენ გადმოცემას, რომ მათ ქვეყანა „უფალმა აჩუქა". ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში საქართველოს შავი ზღვის კურორტები მილიონობით დამსვენებელს იღებდნენ, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განვითარებულმა ნეგატიურმა მადესტაბილიზებელმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა პროცესებმა თავისი დაღი ტურიზმის სფეროსაც დაამჩნია: დაინგრა ინფრასტრუქტურა, გამეფდა კორუფცია, მკვეთრად შემცირდა ტურისტების რაოდენობა...

დღეს საქართველოს თითქმის ყველა პირობა აქვს ტურიზმის განვითარებისათვის: ღირსშესანიშნაობათა ჩამონათვალში ჩვენ ვხედავთ იუნესკოს მიერ მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობის სიაში შეტანილ ობიექტებს, ალპურ ზონაში მდებარე სოფლებს თავისი შუასაუკუნეობრივი მონასტრებით... ასევე ეროვნულ-ტრადიციულ სამზარეულოს. მაგრამ ყველაზე დიდი მნიშვნელობა ტურიზმის ინდუსტრიისათვის, ალბათ, მაინც ქართულ ღვინოს აქვს, ღვინის მარშრუტებს, რომელიც კახეთით იწყება და შემდეგ სხვა რეგიონებშიც გრძელდება. საქართველოში ღვინის დამზადების ჩინებული ტრადიციები არსებობს, მათ 8 ათასი წლის ისტორია აქვს. აქ არიან ქალაქები, რომლებიც იტალიურ ტოსკანას მოგვაგონებენ. აქ არის ვაზისა და ყურძნის ასობით ჯიში, რომლებისგანაც სხვადასხვა არომატისა და ფერის ღვინოს ამზადებენ", — აღნიშნულია სტატიაში.

პუბლიკაციაში აღწერილია კახეთის მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციები, ქვევრში ღვინის დაყენების წესი. საუბარია ამერიკელი ჯონ ვუნდერმანის კომპანიაზე („ხოხბის ცრემლები"), რომელიც ღვინის დამზადება-ჩამოსხმაზეა დასპეციალებული: „ჯონს და მის ქართველ ცოლს ქეთევანს განსაკუთრებული წესი აქვთ შემუშავებული საუკეთესო ღვინის დასაყენებლად. კომპანიის ღვინოებს დანიის რესტორნებშიც შეხვდებით", — წერს ავტორი.

სტატიაში გადმოცემულია აგრეთვე საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს წარმატებული საქმიანობა. ამ სამთავრობო სტრუქტურაში ბევრი ისეთი ახალგაზრდა მუშაობს, რომლებმაც განათლება დასავლეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიიღეს და ახლა თავიანთ ცოდნა-პროფესიონალიზმს საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას ახმარენ.

ავტორი ყურადღებას უთმობს მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს, რომლებიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს უცხოელი ტურისტების მიზიდვას. სტატიაში აღწერილი ერთ-ერთი ასეთი მცირე კომპანიის საქმიანობა, რომელიც ჩურჩხელას აწარმოებს.

ტურიზმის ამასწინანდელ ფორუმზე საქართველოს მთავრობამ მონაწილეებს თავისი ამბიციური გეგმები გააცნო, რომელიც ორ წელიწადში 25 ახალი თანამედროვე სასტუმროს აგებასა და ინფრასტრუქტურის სწრაფ გაუმჯობესებას ითვალისწინებს, განსაკუთრებით შავიზღვისპირეთში. საქართველოს მიზანია, რომ 2025 წლისათვის ტურიზმისაგან მიღებული შემოსავლები 6,6 მილარდ დოლარამდე გაზარდოს.

სტეფენ რაბიმოვი,
„Forbes" (აშშ)

◎ ჩემი შენ გითხარიო...

გიორგი ვოლსკი ნაციონალების მმართველობის დროს გასხვისებული სკვერების სიას აქვეყნებს

პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიორგი ვოლსკი 2004-2013 წლებში თბილისში გასხვისებული სკვერების სიას აქვეყნებს. სიაში 14 სკვერია შესული. დეპუტატმა ეს სია „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

„გასხვისებული სკვერები თბილისში 2004-2013 წლებში:

1. **სანდრო ეულისა და ნუცუბიძის კუთხეში მდებარე სკვერი** – ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია – 25 მაისი, 2004;

2. **ბუდაპეშტისა და იონა ვაკელის კუთხე** – ოთარ კაკალაშვილი – 21 მარტი, 2006;

3. **მერაბ კოსტავას ქუჩა, მაკდონალდსის გვერდით** – მფლობელი შპს აფხაზეთი – 20 ივნისი, 2006;

4. **ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი** – მფლობელი შ.პ.ს ელზურო – 16 აპრილი, 2007;

5. **ნუცუბიძის 81 ნომერი – მოიჭრა 22-28 ხე** – ახალი სტილი მესაკუთრე – 10 ივლისი, 2007;

6. **ფარნავაზ მეფის გამზირზე მდებარე სკვერის ნაწილი** – გივი და გიორგი კორახაშვილები, გაიოზ ფხოველიშვილი – 4 იანვარი, 2008;

7. **მერაბ კოსტავას ქუჩა, დანიური სახლის გვერდით** – შ.პ.ს ლილო;

8. **თბილისის ზღვის სანაპიროს ტერიტორია, თბილისის ზღვის კლუბის მიმდებარე ტერიტორია – შ.პ.ს გუდაური სქაი რეზორტი** – 20 ოქტომბერი, 2011;

9. **დედაენის ბაღის ნაწილი** – შ.პ.ს ოფის ცენტრი – 30 მარტი, 2012 წელი;

10. **დიდი დიღმის, ფარნავაზ მეფის სახელობის სკვერი** – ნიკოლოზ ოკლე – 21 ივლისი, 2012;

11. **აკაკი წერეთლის სახელობის სკვერი – შ.პ.ს ჩინარ გრუპი** – 10 ოქტომბერი, 2012;

12. **ერმილე ბედიას ქუჩაზე არსებული სკვერის ნაწილი, ნუცუბიძეზე პოლიციის გვერდით** – შ.პ.ს პრივატ ინვესტმენტი – 17 ივნისი, 2013;

13. **ვაჟა-ფშაველას 91** – შ.პ.ს ს5 – 6 ივლისი, 2013;

14. **დიდი დიღმის ტყე პარკი** – ბევრი სხვადასხვა მესაკუთრე“.

https://metronome.ge

◎ ჯანმრთელობა

ექიმთან მისვლა დროულად სჯობს!

პოპულარული მსახიობის დიმიტრი მარიანოვის მოულოდნელმა სიკვდილმა, რომელმაც მაყურებელს არაერთ ტელესერიალში შესრულებული როლებით დაამახსოვრა თავი და რომლის საავადმყოფომდე ცოცხლად მიყვანა მეგობრებმა ვერ შეძლეს, საზოგადოება კვლავ გულის სისხლძარღვებთან დაკავშირებულ პრობლემებზე აალაპარაკა. ამის მიზეზი კი, როგორც ჩანს, ისაა, რომ მსახიობის გარდაცვალების მიზეზი სისხლძარღვში მომწყდარი თრომბი გახდა. ამდენად, ბევრს აინტერესებს, თუ როგორ შეიძლება თრომბების გამოვლენა და რა გზებით უნდა დავიცვათ მათგან თავი.

აღნიშნულ კითხვას უპასუხებს ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო სასწავლო-საგანმათლებლო ცენტრის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში, **პროფესორი სიმონ მაწკეპლიშვილი**:

– „მომწყდარი თრომბი“ – ესაა გულის სისხლძარღვთა მწვავე კატასტროფებთან დაკავშირებული განზოგადებული, ასე ვთქვათ, „ხალხური“ მიზეზი, – ამბობს სწავლული მედიკოსი. – დიდი თრომბი მართლაც შეიძლება მოწყდეს ვენოზური სისტემის სისხლძარღვის კედელს და სისხლის ნაკადთან ერთად დაიწყოს მოძრაობა, მაგრამ ამ შემთხვევაში პაციენტის ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიისგან უეცრად, წამებში კვდება. მეორე ვარიანტი ისაა, როცა გულის მოციმციმე არითმიის დროს თრომბი გულიდან თავის ტვინის სისხლძარღვებში ხვდება, რაც მძიმე ინსულტს იწვევს.

შესანიშნავი მსახიობი დიმიტრი მარიანოვი კი, ჩემი აზრით, გულის მწვავე უკმარისობის გამო გარდაიცვალა, რა დროსაც ტრომბი საიდანმე კი არ წყდება, არამედ იმ ადგილას წარმოიშობა, სადაც სისხლძარღვის კედლებზე უკვე არის ათეროსკლეროზული ბალთა. ასე სწრაფად მზარდი თრომბი მალევე კეტავს ამ ბალთით ისედაც დავიწროებული სისხლძარღვის ნასვრეტს და კაცს მიოკარდის ინფარქტი უვითარდება, ზოგჯერ კი, სულაც უეცრად კვდება.

ამ და კიდევ ბევრი სხვა მიზეზით, საჭიროა 40 წლის ასაკს გადაცილებული ყველა მამაკაცი, წელიწადში ერთხელ მაინც მივიდეს კარდიოლოგთან, გამუდმებით იზომოს არტერიული წნევა, ჩაიტაროს სისხლის და შარდის ანალიზები შაქრის, ქოლესტერინის, ლიპიდების შემცველობაზე და ამის საფუძველზე უცაბედი სიკვდილისგან გარდაცვალების ალბათობა განსაზღვროს.

უწინ ითვლებოდა, რომ გულის სისხლძარღვთა დაავადებების ერთგვარი უნივერსალური საშუალებაა ასპირინი, თუმცა კი ბოლო წლებში მასზე უარი თქვეს მრავალი სერიოზული შედეგის დადგომის დიდი ალბათობის გამო. ამიტომ მას მხოლოდ იმ პაციენტებს უნიშნავენ, ვისაც გულისა და სხვა სისხლძარღვები უკვე დაზიანებული აქვთ.

მოამზადა ნინო ალექსანდრიამ

◎ დედამიწა – სახლი ჩვენი

რამ „შეშალა“ კლიმატი?

უკვე მერამდენე წელია, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ამინდთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად სიტყვა „ანომალიური“ ჟღერს: ზოგ რეგიონში საშინელი ხანძრები მძვინვარებს, ზოგან წამლეკავი წყალდიდობებია, ზოგან ქარბორბალიანი ქარიშხლები ბობოქრობს კოკისპირული წვიმებითა და სეტყვით... სტიქიურ მოვლენათა ამხსნელი ჰიპოთეზები მრავლადაა, თუმცა კი ყველა მათგანი ერთნაირად სარწმუნო ნამდვილად არ არის.

ვერსია №1. მეტეოროლოგთა უმრავლესობა მაინც იმ აზრისაა, რომ ყველაფერი საყოველთაო დათბობის მიზეზით ხდება, რის შედეგად დედამიწის კლიმატმა მდგრადობა დაკარგა. მაგრამ, მაინც რატომაა, რომ გლობალურ დათბობას... აცივება მოჰყვება, როგორც ეს, მაგალითად, წლეულს რუსეთშია?

საქმე ისაა, რომ გათბობა სწრაფად პოლუსებზე მიმდინარეობს, ზომიერ სარტყელში და, მით უმეტეს, ეკვატორზე ის გაცილებით ნელი ტემპით მიდის. ამის გამო პოლუსებსა და ეკვატორზე ტემპერატურების სხვაობა სულ უფრო მეტად მცირდება. ატმოსფეროს ცირკულაციის მექანიზმი კი ისეა მოწყობილი, რომ რაც მეტია ის, მით უფრო ენერგიულად გადაადგილდება ჰაერის მასები დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით. ტემპერატურულ სხვაობათა შემცირების გამო, ამჟამად ჰაერის მასები უფრო ხშირად მერიდიანული, ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებით მოძრაობენ, რაც ხშირად სიცივეების მიზეზი ხდება. ამდენად, საქმე პარადოქსთან გვაქვს: **დათბობის პერიოდში უფრო ხშირად სიცივეები გვიტევს**. ეს პროცესები მთელ პლანეტაზე მიმდინარეობს, მაგრამ ყველაზე მეტად ისინი ზომიერ სარტყელშია შესამჩნევი. მეტეოროლოგები გვაფრთხილებენ, რომ მსგავსი პროცესები აქ უახლოესი ათი წლის განმავლობაში გაგრძელდება.

ვერსია №2. როცა 2010 წლის ზაფხულში ევროპაში არნახულმა სიცხეებმა დაიჭირა, ბევრმა ეს ამბავი მეცნიერებს დააბრალა, რომლებიც ჟენევაში დიდ ანდროიდულ კოლაიდერზე ცდებს ატარებდნენ. ამ ეჭვებს ზოგიერთნი ახლაც გამოთქვამენ, თუმცა კი 2016 წლის მიწურულიდან ეს დანადგარი გაჩერებულია.

კიდევ ერთი „ბრალდებული“ სამეცნიერო კომპლექსი, რომელსაც კლიმატზე მავნე ზემოქმედებას აბრალებენ, ალასკაზეა განთავსებული – ესაა იონოსფეროსა და პოლარული ციალის შემსწავლელი ამერიკული პროექტი – HAARP-ი. ამის თაობაზე ლაპარაკი 1977 წლიდან, მისი გაშვებისთანავე დაიწყო და მას შემდეგ გვალვების, მიწისძვრების, ქარიშხლებისა და წყალდიდობების მიზეზად მიიჩნევენ.

კიდევ ერთი სამიზნე ჩინური თანამგზავრი „მო-ძი“ გახდა, რომელსაც კვანტურ ტელეპორტირების ექსპერიმენტი უნდა შეესრულებინა, მაგრამ მისი მოწყობილობა მალევე მწყობრიდან გამოვიდა. **ექსპერტთა აზრით, ამის შედეგად ატმოსფეროში უარყოფითი აეროიონების დონემ მოიმატა, რასაც კლიმატზე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.**

ვერსია №3. ასტრონომები შეშფოთებას გამოთქვამენ: მზის აქტივობამ საგრძნობლად იკლო! ბოლო წლებში ჩვენი მნათობის მაგნიტური აქტივობის დონე არნახულად შემცირდა, რაც მის წიაღში ძირეული ცვლილებების ნიშანია, რასაც კაცობრიობისთვის დამღუპველი შედეგი მოჰვება, – ესაა ბრიტანელ მკვლევართა დასკვნა.

ახლო წარსულში მზე მომატებულად აქტიური იყო, თუმცა 2008 წელს დაწყებული ახალი ციკლი გამორჩეულად სუსტი გამოდგა. ასტრონომები შიშობენ, რომ მზემ ჩაქრობა დაიწყო. მისი აქტივობის ერთ-ერთი ნიშანია ლაქები, რომელთა რიცხოვნობა წლეულს კატასტროფულად შემცირდა. ამასთან, შემცირდა მნათობის პოლუსების მიმდინარე რაიონების ბრუნვა.

მეცნიერთა აზრით, მზის ანომალიურ სიმშვიდეს დედამიწაზე ხანგრძლივი აცივების გამოწვევა შეუძლია. **არც ისაა გამორიცხული, რომ ამინდის წლევანდელი ჭირვეულობა გაცილებით მრისხანე კატაკლიზმის წინამორბედია.**

ვერსია №4. კლიმატური იარაღი საერთაშორისო კონვენციებითაა აკრძალული, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მას არ ამუშავებენ. კლიმატური იარაღის მსგავს ტექნოლოგიებს მსოფლიოში რამდენიმე ქვეყანა იყენებს, მაგალითად, ეროვნული დღესასწაულების აღსანიშნავი დღეებისთვის ღრუბლების გასაფანტავად, თუმცა კი ეს ხერხი თავის დროზე სამხედრო მიზნებისთვის დაამუშავეს. ამჟამად კი მსოფლიოში მრავალი კომპანია მოქმედებს, რომლებიც დამკვეთებს „ამინდის რეგულირების“ მომსახურებას სთავაზობენ, რაც, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ კლიმატზე ექსპერიმენტებს არავინ აკონტროლებს, რისი შედეგების წინასწარმეტყველება შეუძლებელია. ამას კი შესაძლოა, კატასტროფული შედეგები მოჰყვეს. **ეს იმდენად მძლავრი იარაღია, რომ მის გამოყენებას იგილის ტერორისტების წინააღმდეგაც კი აპირებდნენ, რაც მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე გავარვარებული ქვიშის უზარმაზარი მასების გადამტანი ქარიშხლების წარმოშობით იქნებოდა გამოვლენილი.**

ვერსია №5. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ევროპის „გამათბობელი“ ატლანტიკური გოლფრიმის დინება თანდათანობით ნელდება. ამ პლანეტარული მასშტაბის მოვლენის მექანიზმი ასეთია: ჩრდილოეთის მიმართულებით მოძრაობისას ეს მძლავრი დინება ლაბრადორის ცივ დინებას აწყდება, რომელიც მის ქვეშ „ყვინთავს“ და მას ევროპისკენ მიმართავს. ამის მიზეზი ისაა, რომ ლაბრადორის დინების წყალი უფრო მლაშე და მძიმეა.

გლობალური დათბობის შედეგად არქტიკაში ყინულის უზარმაზარი მასები დნება, უწინარესად გრენლანდიის უკიდეგანო მყინვარი. ამ მტკნარ წყალს ემატება ციმბირის მდინარეების მიერ ჩრდილოეთყინულოვანი ოკეანის ღია ზღვებში ჩატანილი ასევე მტკნარი წყალი, რის შედეგად მისი მარილიანობა იკლებს. იმის გამო, რომ მტკნარი წყალი მარილიანზე მსუბუქია, ის ფსკერისკენ აღარ ეშვება და ანელებს თბილი გოლფსტრიმის მოძრაობას. ამის გარდა, მტკნარი წყლით გაჯერებული ლაბრადორის დინებაც სიმკვრივეს კარგავს და გოლფსტრიმის ქვეშ კი აღარ „ჩადის“, არამედ პირდაპირ ეჯახება მას, რის **შედეგად აქ ამჟამად ორდონიანი „ტკბილი თანაცხოვრების“ მაგივრად ახლა მოუწესრიგებელი მორევია.**

სიტყვას მოჰყვა და ვიტყვით, რომ გეოლოგიური ისტორიის მანძილზე ევროპა არაერთი გამყინვარების მომსწრე ყოფილა, რომელთაგან ბოლოს ცნობილი, ეგრეთ წოდებული მცირე გამყინვარება, მე-14 საუკუნეში დაიწყო და, მკვლევართა აზრით, ის სწორედ გოლფსტრიმის დინების შენელების შედეგი გახდა.

მოამზადა ოთარ ტურაგელიძემ

◎ წინ, საქართველოვ!

ჯაბა პაპინაშვილი მსოფლიოს ჩემპიონია!

საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ხორვატეთის დედაქალაქ ზაგრებში დაწყებული მსოფლიოს ჩემპიონატი ოქროს მედლით გახსნა. 2017 წლის სეზონის უმთავრეს შეჯიბრებაზე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე 55 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოჭიდავე ჯაბა პაპინაშვილი ავიდა.



19 წლის მსუბუქწონოსანი ტურნირში ფრანგ ტეო რაულ ჰებრარდთან დაჭიდებით ჩაება და მეტოქეს ერთი თვის წინანდელი ევროპის ჩემპიონატის რეპეშაჟის ფინალში განცდილი მარცხისთვის ვაზარით აუღო რევანში. მეორე მოწინააღმდეგეს – ბრაზილიელ ბრუნო ვატანაბეს უილეთოდ, გაფრთხილებების ლიმიტის ამოწურვით სძლია, მონღოლ უნუბოლდ ლხაგვაჯამცს წუთი და 11 წამი აკმარა, ნახევარფინალში კი ყაზახ ბაუირჟან ნარბაევს „ოქროს დროში“ შესრულებული ვაზარით აჯობა.

ფინალში პაპინაშვილი აზერბაიჯანელ ნათიგ გურბანლის შეერკინა და ვაზარად შეფასებული ორი გდებით გაუსწორდა.

ამავე წონით კატეგორიაში, საქართველოს დროშის ქვეშ ვანო ნინიაშვილმაც იჭიდავა და რომ არა გურბანლისთან ნახევარფინალში განცდილი მარცხი, 55 კილოგრამში მსოფლიო კონკურენცია ქართული ფინალით დაგვირგვინდებოდა.

ნახევარფინალამდე მან სამი მეტოქე ჩამოიშორა: ამერიკელი მაქს ანტონიუ, პორტუგალიელი ფელიპე კრუზი და უნგრელი დანიელ მონორი, „ბრინჯაოს ფინალში“ კი მონღოლ ლხაგვაჯამცთან დაძაბულ შეხვედრაში კონტრილეთზე წამოეგო, ბეჭებზე დავარდა და მე-5 ადგილს დასჯერდა.

დღეს ტატამზე ლუკა მაისურაძე, ტრისტან მოსახლიშვილი (ორივე 81 კგ), გიორგი ჩიქოვანი, იმედა გოგოლაძე (ორივე 90 კგ) და მარიამ ჭანტურია (63 კგ) გავლენ, ხვალ კი ონისე სანებლიძე (100 კგ), გელა ზაალიშვილი (+100 კგ) და სოფიო სომხიშვილი (+78 კგ) იჭიდავებენ.

კობა კობახიძე

„საბურთალო“ – მეორე წრეში!

თბილისის „საბურთალომ“ უეფას ჭაბუკთა ლიგის პირველი ეტაპი დაძლია! რევაზ გოცირიძის გაწვრთნილმა გუნდმა საპასუხო შეხვედრაში თურქეთის „ბურსასფორთან“ ფრედ 1:1 ითამაშა, ორი მატჩის ჯამში 2:1 მოიგო და ნოემბერში მეორე წრეში იასპარეზებს.

„ყველას ვულოცავ ამ გამარჯვებას! მიმაჩნია, რომ ეს მხოლოდ „საბურთალოს“ გამარჯვება არაა, ეს მთელი ქართული ფეხბურთის წარმატებაა! მადლობა ბიჭებს ამ ურთულეს მატჩში გამოჩენილი თავდადებისთვის და ბოლომდე ბრძოლისთვის“, – განაცხადა „საბურთალოს“ თავკაცმა.

მისმა გუნდმა პირველი შეხვედრა თურქეთში 1:0 მოიგო, შინ კი ბოლო წუთებზე გადაარჩინა თამაში. თურქებმა პირველივე წუთზე გახსნეს ანგარიში – ილმაზმა დაარტყა ზუსტად. მე-8 წუთზე მასვე მეორე გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ პენალტი ვერ გამოიყენა – „საბურთალოს“ მეკარემ ნასყიდაშვილმა აჯობა, მატჩის 85-ე წუთზე კი შეცვლაზე შესულმა იური ტაბატაძემ ანგარიში გაათანაბრა – 1:1.

მეორე წრეში თბილისური კლუბის მეტოქე სერბეთის „ბროდარაცი“ იქნება. პირველი მატჩი ბალკანეთში 1 ნოემბერს გაიმართება, საპასუხო კი თბილისში 22 ნოემბერს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჩემპიონთა ლიგა

შენ როსლა აყვავდები?..

ჩემპიონთა ლიგის პირველი წრე აზერბაიჯანული ფეხბურთისთვის ისტორიული მოვლენით დასრულდა – „ყარაბაღმა“ ჯგუფური რაუნდის შეხვედრა ბაქოში ფრედ – 0:0 ითამაშა მადრიდის „ატლეტიკოსთან“ და სატურნირო ცხრილში პირველი ქულა ჩაიწერა.

მეზობელ-მეგობრებს, რასაკვირველია, მორიგ წარმატებას ვუსურვებთ და გულისტკივილით ვკითხულობთ: ჩვენ როდისღა გვეშველება?

აღსანიშნავია, რომ 75-ე წუთზე მასპინძლებს მინდვრიდან ნდლოვუ გაუძღვეს, მაგრამ ყურბან ყურბანოვის გუნდმა ბოლომდე ღირსეულად გაუძლო მრისხანე მეტოქის შტურმს და სამშობლოში გაწბილებული გაისტუმრა.

მთლიანობაში ოთხშაბათს გამართული შეხვედრები წითელი ბარათების სიმრავლითა და საკუთარ კარში გატანილი გოლებით გამოირჩეოდა, თუმცა, ამით მოვლენათა ლოგიკურ განვითარებას არაფერი დატყობია – ფავორიტებმა დამაჯერებელი გამარჯვებები მოიპოვეს და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს პლეი-ოფისკენ.

„ა“ ჯგუფი. ცსკა – „ბაზელი“ 0:2, „ბენფიკა“ – „მანჩესტერი“ 0:1. „მანჩესტერი“ – 9, „ბაზელი“ – 6, ცსკა – 3, „ბენფიკა“ – 0 ქულა. **31 ოქტომბერს ითამაშებენ:** „ბაზელი“ – ცსკა, „მანჩესტერი“ – „ბენფიკა“. **„ბ“ ჯგუფი.** „ბაიერნი“ – „სელტიკი“ 3:0, „ანდერლეხტი“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 0:4. „პარი სენ-ჟერმენი“ – 9, „ბაიერნი“ – 6, „სელტიკი“ – 3, „ანდერლეხტი“ – 0 ქულა. **31 ოქტომბერს ითამაშებენ:** „სელტიკი“ – „ბაიერნი“, „პარი სენ-ჟერმენი“ – „ანდერლეხტი“. **„გ“ ჯგუფი.** „ჩელსი“ – „რომა“ 3:3, „ყარაბაღი“ – „ატლეტიკო“ 0:0. „ჩელსი“ – 7, „რომა“ – 5, „ატლეტიკო“ – 2, „ყარაბაღი“ – 1 ქულა. **31 ოქტომბერს ითამაშებენ:** „რომა“ – „ჩელსი“, „ატლეტიკო“ – „ყარაბაღი“. **„დ“ ჯგუფი.** „ბარსელონა“ – „ოლიმპიაკოსი“ 3:1, „იუვენტუსი“ – „სპორტინგი“ 2:1. „ბარსელონა“ – 9, „იუვენტუსი“ – 6, „სპორტინგი“ – 3, „ოლიმპიაკოსი“ – 0 ქულა. **31 ოქტომბერს ითამაშებენ:** „ოლიმპიაკოსი“ – „ბარსელონა“, „სპორტინგი“ – „იუვენტუსი“.

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

მოგებაც შეგვეძლო

თბილისის „დინამომ“ ფიბა ევროპის თასზე წარუმატებელი სტარტი აიღო. ირაკლი ხოშტარიას გუნდმა E ჯგუფის პირველი ტურის მატჩი სოფიაში ჩაატარა, სადაც ადგილობრივ „ლუკოილ აკადემიკთან“ დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა – 70:73.

საქართველოს ჩემპიონი მთელი შეხვედრის განმავლობაში აგებდა. მასპინძლები უფრო დამაჯერებლად თამაშობდნენ და საშუალოდ 6-7 ქულიანი უპირატესობის შენარჩუნებას მარტივად ახერხებდნენ. ამიტომაც იყო, რომ დასკვნითი მეოთხედის წინ „ლუკოილი“ კომფორტული, 11-ქულიანი უპირატესობით ლიდერობდა.

თუმცა, მეოთხე პერიოდში „დინამო“ გარდაიქმნა და ჩინებული თამაში აჩვენა. ახლოსაც იყო თამაშის ოვერტაიმში გადაყვანასთან. თბილისელებმა სოლიდური ჩამორჩენის აღმოფხვრა მეთოდურად დაიწყეს და მატჩის დასრულებამდე 02:21 წუთით ადრე წინაც გავიდნენ – 69:67, მაგრამ ამ გადამწყვეტ მომენტში შეცდა გოგოძე, რომელმაც მეტოქის წინააღმდეგ გაუმართლებელი ჯარიმა აიღო, თანაც ამით „ლუკოილს“ სამი საჯარიმოს შესრულების უფლება მიეცა – მასპინძლებმა საჩუქარი გამოიყენეს, რასაც მალევე ზუსტი სამქულიანი მიაყოლეს – 73:69. სწორედ ეს ეპიზოდი გამოდგა საბედისწერო. და მაინც, „დინამოს“ ჰქონდა შანსი, რომ არ წაეგო. მატჩის დასრულებამდე 11 წამით ადრე სამ ქულას აგებდა და ბურთსაც ფლობდა. აღნიშნულ დროში ბოიდმა, გოგოძემ და ფაცაციამ სამჯერ სცადეს სამქულიანის ჩაგდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა მცდელობა უშედეგო გამოდგა და უაღრესად დაძაბული მატჩი მარცხით დასრულდა – 70:73.

„დინამოს“ შემადგენლობაში საუკეთესო ჯეფრი ბოიდი იყო, რომელმაც საკუთარ გუნდს 37 წუთში 21 ქულა, 2 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა შესძინა. კარგად გაისარჯა ლევან ფაცაციაც – ქართველი კალათბურთელის მონაგარმა 34 წუთში 20 ქულა, 1 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა შეადგინა.

თუმცა, ხსენებულ დუეტს დანარჩენებმა მხარი ნაკლებად აუბეს. 10-ქულიან ზღვართან ყველაზე ახლოს ნიკოლა გაჩეშა გახლდათ: 34 წუთი, 8 ქულა, 8 მოხსნა. 7-7 ქულა შემატეს „დინამოს“ კლემენ ტურპინმა და ნოდარ გოგოძემ.

აქვე გეტყვით, რომ „დინამოს“ მეტოქეები ფიბა ევროპის თასის E ჯგუფში „კლუჟი“ და თურქული „ისტანბული“ არიან. მათი ბრძოლა ბალკანელებმა 90:69 მოიგეს. ირაკლი ხოშტარიას გუნდი მეორე ტურის მატჩს 25 ოქტომბერს თბილისის ახალ ოლიმპიურ სასახლეში რუმინელებთან გამართავს. აღნიშნული შეხვედრა 17 საათზე დაიწყება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

მასპინძელია აჭარა

ხვალ „ბათუმი“ ევროპული რაგბის კონტინენტის ფარზე პირველ საშინაო მატჩს გამართავს. საქართველოს ვიცე-ჩემპიონი გერმანული რაგბის ფლაგმან „ჰაიდელბერგს“ უმასპინძლებს. მატჩი 15 საათზე დაიწყება.

პირველ ტურში „ბათუმმა“ იტალიაში „როვიგოსთან“ იომა და გამარჯვებამდე სულ ცოტა დააკლდა - 27:31. ზღვისპირელებმა მეტოქეს 4 ლელო გაუტანეს, რისთვისაც ბონუს-ქულა ერგოთ, მცირედი მარცხისთვის კიდევ ერთი ბონუსი აიღეს და შინ 2 სატურნირო ქულით დაბრუნდნენ, რაც პლეი-ოფში გასვლის კარგ შანსს უტოვებთ. „ჰაიდელბერგმა“ პირველ ტურში იტალიის ჩემპიონატის ლიდერს, მოქმედ ჩემპიონ „კალვიზანოს“ უმასპინძლა და 23:19 დაამარცხა. გერმანელებმა მეტოქეს 3 ლელო გაუტანეს და 2 გაუშვეს. ამ მატჩში იტალიელებმა მცირედი მარცხისთვის 1 ქულა მიიღეს.

სტუმართა ბირთვს გერმანიის ნაკრების მოთამაშეები წარმოადგენენ, მათ შორის ნატურალიზებული მორაგბეებიც. „ჰაიდელბერგის“ შემადგენლობაში მრავლად არიან ლეგიონერები წამყვანი სარაგბო ქვეყნებიდან – 6 სამხრეთაფრიკელი, 2 – ინგლისელი, თითო-თითო – არგენტინელი და ავსტრალიელი.

ბეჟან დოლიძე

სანთელი

ჭეშმარიტად სახალხო მხატვარი

გიორგი (გოგი) ოჩიაურის ხსოვნას



ქართველ მხატვართა საზოგადოებას გამოაკლდა ნიჭიერი შემოქმედი, საზოგადო მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო მხატვარი, საპრეზიდენტო „ბრწყინვალების“ და „ხალხთა მეგობრობის“ ორდენის კავალერი, მოქანდაკე, ბატონი **გიორგი (გოგი) ოჩიაური.**

დაიბადა 1927 წელს. 1953 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადმიის ქანდაკების ფაკულტეტი. ამავე წლიდან დღემდე ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებით და პედაგოგიურ მოღვაწეობას. ბატონი გიორგი სისტემატიურად მონაწილეობდა რეს-პუბლიკურ და საზღვარგარეთის სამხატვრო გამოფენებში. ორგანიზებული იყო მხატვრის არაერთი პერსონალური გამოფენა, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ბატონი გიორგი ოჩიაურის მიერ შექმნილი ბიუსტები, ძეგლები და სკულპტურული კომპოზიციები დადგმულია საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებში: „ქორწინების სახლი“ ბარელიეფი — თბილისი, 1964წ. „შენ ხარ ვენახი“, „ქალის ტორსი“ — ბიჭვინთა, ადლერი, 1969 წ. ვაჟა-ფშაველას ძეგლი — თბილისი, 1972 წ. „სიცოცხლის ხე“ — ტექსილი, 1977 წ; ალეგორიული ქანდაკება „მუსიკა“, „რესტავრაცია“ (მოსკოვი), „რეკვიემი“ — 1981-85 წწ. დიდების მეორიალი — თბილისი, 1985 წ.

ბატონი გიორგი გატაცებით მუშაობდა გრაფიკაში. მას მხატვრულად გაფორმებული აქვს ქართველ და საზღვარგარეთის მწერალთა ნაწარმოებები: „ანა კალანდაძე“, „გიორგი ლეონიძე“, „ვაჟა-ფშაველა“ (ლექსები), ილუსტრაციები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისთვის“, იყო მხატვრული ფილმის „ალავერდობის“ დამდგმელი მხატვარი. იგი ავტორია სამენოვანი წიგნისა „ევროპული ქანდაკების ბუნებისათვის“.

ბ-ნ გიორგი ოჩიაური აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მხატვართა კავშირის და კულტურის სამინისტროს მიერ მოწყობილ პლენერებში, სიმპოზიუმებში და საქველმოქმედო აქციებში. მიღებული აქვს ჯილდოები, დიპლომები და სიგელები. მონაწილეობდა ვაჟა-ფშაველას (I პრემია), ვახტანგ გორგასლის (III პრემია) ძეგლების, ბიჭვინთის დასასვენებელი კომპლექსის (I პრემია) კონკურსებში.

ბატონი გიორგი ოჩიაურის ნამუშევრები დაცულია საქართველოს ხელოვნებისა და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, ტრეტიაკოვის გალერეაში და კერძო კოლექციებში.

მხატვრის ბიოგრაფია შეტანილია „БСЭ“, „ქსე“ საქართველოსა და ამერიკის ენციკლოპედიებში, „მსოფლიოს 5000 გამოჩენილი ადამიანი “, „ვინ ვინაა საქართველოში“ (1996-97 წწ. 1998-99 წწ.), „მსოფლიოს წამყვანი ინტელექტუალები“ კემბრიჯის 1999-2000 წწ. „მეოცე საუკუნის გამოჩენილი ადამიანები“ (ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტი) და სხვა.

შემოქმედებით მუშაობასთან ერთად მხატვარი ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, იყო ქანდაკების ფაკულტეტის პროფესორი. მის მიერაა აღზრდილი მხატვართა მრავალი თაობა.

ბ-ნ გიორგი ოჩიაური წლების მანძილზე იყო საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი, უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი.

წავიდა ჩვენგან ნიჭიერი, განათლებული, უკეთილშობილესი, ღირსეული პიროვნება, დიდი პატრიოტი, თავდადებული მეგობარი და დაგვიტოვა დიდი ნაღველი და გულისტკივილი.

ცნობილი მხატვრის, ბატონი გიორგი ოჩიაურის სახელი დიდხანს დარჩება ოჯახის, ახლობლების, მეგობრების, კოლეგებისა და მისი შემოქმედებითი თაყვანისმცემლების ხსოვნაში.

საქართველოს მხატვართა კავშირი

საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობა, წევრები და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მოქანდაკე

გიორგი (გოგი) ოჩიაური

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ცოტანი დარჩნენ მსგავსნი

მის ცხონებას ვვედრი უფალს



სულმნათი გოგი ოჩიაური 1970 წელს ასპირანტურაში სწავლისას გავიცანი და დავუმეგობრდი. მოსკოვში ვგეგმავდი გამგზავრებას გარდაცვლილი მამის მეგობრის ოჯახის მოსანახულებლად... ობოლი და-ძმის გამზრდელმა ბებომ ძველი საოჯახო ალბომი გადმომიღო და იმ ფოტოზე მიმანიშნა, რომელზეც მამაჩემთან ერთად ომის წლებში მოსკოვის უმაღლესი პარტიული სკოლის მსმენელები იყვნენ გამოსახული. ყურადღება გამოკვეთილად ერთ სანდომიან პიროვნებაზე გაამახვილა და მითხრა — ეს ლევ ნიკოლოზის ძე ტოლკუნოვია, მამაშენის უახლოესი მეგობარი, იქნებ მოინახულო მოსკოვში, გამოეცნაურო, უამბო ჩვენი დარჩენილი ოჯახის ყოფის, ავ-კარგის შესახებო. იგივე მირჩიეს მშობლების უახლოესმა მეგობრებმა, სულმნათმა დედობილმა ნინო ჟვანიამ, სულმნათმა მამობილმა ალიოშა მოწერელიამ და სხვებმაც!

იმხანად ბატონი ლევ ნიკოლოზის ძე გაზეთ „იზვესტიის“ მთავარ რედაქტორად მუშაობდა და, ბუნებრივია, დიდი გავლენა ჰქონდა...

მოსკოვში გამგზავრება შედგა, მგზავრობა პროფესორების ავთანდლ თელიას და კარლო გარდაფხაძის ოჯახებმა დამიფინანსეს. სულმნათ გოგი ოჩიაურის შემოქმედებით სახელოსნოში მოთათბირებით გადავწყვიტეთ საჩუქრად წამეღო ვერცხლით მოჭედილი ჯიხვის ლიტრიანი ყანწები. მასალა — ჯიხვის უნიკალური რქები და ბებიას ქორწილის მეჯვარის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას მიერ მორთმეული 12 ცალი ვერცხლის კოვზი თავად მივიტანე. ახლაც ნათლად მახსოვს მზრუნველობითა და თანადგომით მზირალი მოქანდაკის გოგი ოჩიაურის ცრემლნარევი თვალები, როცა მითხრა, ხელობის ხარჯს არ გამოგართმევ, რადგან ასპირანტის სტიპენდიითა და დედ-მამის დამსახურების პერსონალური პენსიით ცხოვრობთ დარჩენილი ოჯახიო. ამასთან, გულით, მთის წესებით დაგლოცავ, რათა როგორც შენს მშობლებს სურდათ, ისეთ მამულიშვილად ჩამოყალიბდე და უანგარო სიკეთით დაამახსოვრო და შეაყვარო ხალხს თავიო.

ბატონ გოგი ოჩიაურის დალოცვა მართლაც შეისმინა მაღალმა ღმერთმა და ობოლი და-ძმა ამ უკიდეგანო სამყაროში არ დავკარგულვართ. ჩვენც შევქმენით ოჯახები და დღენიადაგ ვცდილობთ უანგარო სიყვარულზე ანალოგიური მზრუნველობით ვუპასუხოთ მოყვასთ... ღმერთმა შეგვაძლებინოს და ამით გაგვახაროს! მართლაც და გოგის მსგავს ადამიანებზე იდგა საქართველო და ღირსეულად მოაღწია ჩვენამდე... ამინ!

უღრმესი პატივისცემით, განსვენებულის უკვდავი და ვალმოხდილი სულის სამარადჟამოდ ცხონების მავედრებელი, ფაზისის საეროსამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი

ნუგზარ ნადარაია ოჯახით.

გრიპის ვირუსის ცირკულაცია ჯერ არ აგვირიცხავს!

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის განცხადებით, ლაბორატორიულად გრიპის ვირუსის ცირკულაცია ჯერ არ აგვირიცხავს.

„ჩვენ ზედამხედველობის სერიოზული სისტემა გვაქვს, ვაკონტროლებთ რა ვირუსები ცირკულირებს ქვეყანაში. მართალია, გრიპის ვირუსის ცირკულაცია ჯერ არ დაფიქსირებულა, თუმცა, სხვადასხვა ტიპის რესპირატორული ვირუსები ქვეყანაში არის“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ სეზონურ ვირუსებთან დაკავშირებით.

მაღაზიაში „წიგნის სახლი ბახტრიონზე“ ყუმბარით შეიარაღებული პირი შეიჭრა!

მაღაზიაში „წიგნის სახლი ბახტრიონზე“ ყუმბარით შეიარაღებული პირი შეიჭრა და მოლარეს ფული გამოსძალა. მაღაზიის ადმინისტრაციის განმარტებით, თავდამსხმელს, სავარაუდოდ, ასაფეთქებელი მოწყობილობის მულიაჟი ჰქონდა. შსს-ს ინფორმაციით, დამნაშავე უკვე დადგენილია და მიმდინარეობს სამძებრო ღონისძიებები. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ქურდობას გულისხმობს.

სანთელი

ყოფილი „საქნავთობის“ კოლექტივის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ნავთობის მრეწველობის მენავთობე-გეოლოგთა პლეადის შესანიშნავი წარმომადგენელი, დამსახურებული გეოლოგი და კეთილშობილი პიროვნება

დავით ჩიხლაძე

და სამძიმარს უცხადებენ მის მეუღლეს, ქალბატონ ცისანას, ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

კოლექტივის სახელით რევაზ თევზაძე, გია მახარაძე, გულიკო მაისურაძე.

ოლეგ გავაშელაშვილი ოჯახით იუწყება

ლეონარდო

დევდარიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ახალი სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი ექნება

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ახალი სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობა დაიწყო. აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა რამაზ ბოლქვაძემ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა მერაბ ხალვაშმა, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა ინგა შამილიშვილმა, აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დავით გაბაიძემ, ქალაქ ბათუმის მერმა გიორგი ერმაკოვმა მშენებლობის სერტიფიკატს მოაწერეს ხელი და საძირკველს ჩაუყარეს საფუძველი.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი შემდეგ სასწავლო წელს ახალი, თანამედროვე სტანდარტების სტუდენტთა საერთო საცხოვრებლით შეხვდება.

◎ ინტერნეტიდან

რაღა დროს ფოტოებიაო

სპორტის მოყვარულებს მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ თეთრყირმიზა რუსმა მეჩოგნემ მარია შარაპოვამ მთელი რიგი მიზეზების გამო კარგა ხნის განმავლობაში დაისვენა და ის დრო უქმად არ დაუკარგავს. სადაც კი რაიმე ფოტოსტუდია იყო, დადიოდა და თამამად ილებდა სულისშემძვრელ ფოტოებს.

ახლა მარიას მიერ ნაჩვენები სპორტული შედეგებიც ცხადყოფს, რომ რუსმა ჩოგბურთელმა თავის მთავარ საქმეს სერიოზულად მოჰკიდა ხელი და აპირებს ძველი დიდება და რეიტინგში მაღალი ადგილი დაიბრუნოს, რაც სპორტის მოყვარულებს არ გვესწავლება, რომ დიდ დროს, ენერგიას, ნერვებსა და ილაჯს მოითხოვს.

სწორედ ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შარაპოვას ქალმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ახლა ფოტოგადაღებების, „სვეტკობისა“ და პაჭაპუჭა რამეებისათვის არ სცხელა და ტყუილად გაირჯება ყველა, ვინც მასთან თუნდაც საინტერესო, მაგრამ არასპორტული შეთავაზებით მივა. ოღონდ მარიას ჩოგბურთში კარგად წაუვიდოდეს საქმე და გულის დარდს მისი ძველი ფოტოებითაც მოვიკლავთ. რა პრობლემაა...

როსტომ რაჭველიშვილი

ბროლის სამხრეები გვარდიის მაღალჩინოსნებს

რუსეთის ელიტურმა საჯარისო დანაყოფმა ეროვნულმა გვარდიამ, თავისი უმაღლესი სარდლობის წასახალისებლად ბროლის სამხრეები შეუკვეთა.



ახლახან გამოცხადებული ტენდერით დაამზადებენ 104 წყვილ გენერლის სამხრეებს, რომლებიც ხავერდით ამოკრულ კოლოფში იქნება მოთავსებული. კომპლექტის შესასყიდი ღირებულება 5600 რუბლი (დაახლოებით 170 დოლარი) იქნება.

უწყების წარმომადგენელთა განცხადებით, ბროლის სამხრეები „უმაღლესი ოფიცრებისთვის განკუთვნილი საჩუქარია“, რომელიც ძველი ტრადიციის ერთგვარი გაგრძელებაა, თუმცა კი სამხედრო ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ამ ტრადიციას „სიძველესთან“ ბევრი არაფერი კავშირი აქვს. უბრალოდ, გასული საუკუნის 90-იან წლებში გამორჩეულ სამხედრო პირებს გენერლის ოქროს სამხრეებს ჩუქნიდნენ (მათი ვარსკვლავები სუფთა ოქროსგან მზადდებოდა, ანდა მთელი სამხრე მოოქროვილი იყო). ეს ნამდვილად ძვირფასი საჩუქარი იყო, თუმცა კი ეთიკურად ერთობ საჩოთირო. განა რა ზნეობაა ოქროს სამხრეების ტარება ქვეყანაში, სადაც აუარება გაჭირვებული ადამიანია? ამიტომაც, გადაწყდა, რომ ოქროს სამხრეები ბროლის სამხრეებით ჩაენაცვლებინათ.

იცით თუ არა, რომ...

• **მზიდან** დედამიწამდე მანძილის გავლას სინათლის სხივი რვანახევარ წუთს უნდება?

• **დედის** რძით კვება დიდად სასარგებლოა ბავშვის ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის, ამასთან ის კარგად მოქმედებს მის გონებრივ შესაძლებლობებზე — ასეთი ბავშვები მაღალი ინტელექტით გამოირჩევიან?

• **ამერიკის** შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გააუქმა ახალი საპრეზიდენტო თვითმფრინავის შეკვეთა იმ მოტივით, რომ მისი დამუშავებისთვის „ბოინგმა“ ძალიან დიდი თანხა მოითხოვა?

• **დედამიწაზე** წყლის ასაკი 2,7 მილიარდი წელია, ხოლო მტკნარი წყალი მისი მთელი ოდენობის მხოლოდ 3 პროცენტს შეადგენს და ისიც ძნელად მოსაპოვებელია, ვინაიდან მყინვარებშია დაგროვილი?

• **ებრაელი** პატარძლის საზეიმო მორთულობაში ცისფერი ერთგულების ნიშანია?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გასაცინებელი ა(მ)ბები

რეკომენდაცია

— **დიახ, ბატონო დირექტორო, გულზე ხელს დავიდებ, ჩემს სინდისს არ ვუღალატებ, ისე გავუწევ ამ ახალგაზრდა კაცს რეკომენდაციას. ეს იმავე პრინციპებს იცავს, რასაც მე და თქვენ ვიცავთ, პროტექციის დაუძინებელი მტერია.**

სამი შესაძლებლობა

ოჰაიოს შტატის სადაზღვევო სააგენტოში მიდის ახალგაზრდა ქალი.

— ჩემი ქმრის სიკვდილის შემთხვევაში დაზღვევის რა თანხას მივიღებ? — ეკითხება იგი თანამშრომელს.

გამოცდილმა დაზღვევის აგენტმა შეათვალიერა ქალი და მიუგო:

— თუ სიბერისგან ანდა ავადმყოფობის გამო მოკვდა, 10 ათას დოლარს მიიღებთ, თუ კატასტროფაში დაიღუპა — 20 ათას დოლარს, ხოლო თუ არც სიბერისგან და არც ავადმყოფობის გამო მოკვდა, არც კიდევ კატასტროფაში დაიღუპა და მიზეზი თქვენ უკეთესად გეცოდინებათ, მაშინ 30 წელს მიიღებთ.

დრონი მეფობენ

პოლონელი ემიგრანტი ლონდონში თავის ნაცნობებს აცნობს ინგლისელს:

— აგერ ის, მარცხნივ რომ დგას, ერთ დროს პოლკის მეთაური იყო, ახლა პორტიეა სასტუმროში. ეგ ქალბატონი მინისტრის მეუღლე გახლდათ, ახლა მეგარდერობეა. ის მაღალი კი ბანკის დირექტორი იყო, ახლა ღამის დარაჯია. ეს ცუგრია ფოქსტერიერი იყო, ახლა ჩვეულებრივი ეზოს ძაღლია.

ღამე მშვიდობისა

ჩიკაგოს ერთ-ერთი სატელევიზიო არხის დიქტორმა ქალმა კამერის წინ დაამთქნარა და იმავე დღეს სამსახურიდან გაათავისუფლეს.

მეორე დღეს ის კვლავ გამოჩნდა ტელეეკრანზე, ტკბილად დაამთქნარა და მაყურებელს მიმართა:

— მაპატიეთ, მაგრამ, რა ვქნა, საძილე აბი მივიღე... — და მან ფარმაცევტული ფირმა დაასახელა. იმ დილიდან ეს ფირმა ბევრად მეტს უხდიდა, ვიდრე სატელევიზიო კომპანია.

პირველი ნაბიჯი

პაციენტი უკვე საოპერაციო მაგიდაზეა და ახალგაზრდა ქირურგი ოპერაციისთვის ემზადება. ავადმყოფი აშკარად ნერვიულობს.

— ნუ ღელავთ, გამაგრდით — ეუბნება ექიმი.

— მაპატიეთ ექიმო, მაგრამ ეს ჩემი პირველი ოპერაციაა ცხოვრებაში.

— მესმის, მესმის, — თანაუგრძნობს ქირურგი, — მაგრამ მე მომბაძეთ, ეს ჩემთვისაც პირველი ოპერაციაა და ხომ ხედავთ, სულაც არა ვღელავ.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4844; ევრო - 2.9204;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2752;
100 რუბლი - 4.3347; თურქული ლირა - 0.6748;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4613;
1000 სომხური დრამი - 5.1651.

ამინდი 20 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+3,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე	+22
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+25
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+22
თბილისი:	ღამე	+7,	დღე	+22

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge